საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 7 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სანეკროლოგიო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 227 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდათუთქულნი შვილები: სარრა და ავთანდილ და სიძე ილია სეფერთელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათთვის უძვირფასეს და საყვარელ მამის

**ისაკი დავითის ძე მერაბაშვილის**

შორეულ უცხოეთში უდროოდ გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2604—3—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამ, შვილები: ვალოდია, ვენერა და დიმიტრი, მამა ბეჟუკი დოლიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 9 წითობისთვეს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფას მღ.

**იესე დოლიძის**

სულის მოსახსენებლად (გურია) სოფ. გვაზრათში. (2559—1—1)

ალექსანდრე იოსების ძე წერეთელი აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, ოქტომბრის 7 ს, წმ. ნინოს გიმნაზიის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი და უვიწყარი დის

**ვერა ვარაზაშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე, პანაშვიდის 12 საათზე (2617—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კატო, სიძე იაკობ ბაღათურია; შვილები: გერვასი, ლოლია, ვერიჩქა და სერგო დოლიძეები, და ძმები ანტონ და ჯაბულო აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს გარდაცვალებას საყვარელი

**ალექსი ბექანის ძის დოლიძისას**

დაკრძალვა მოხდება ს. ამაღლებაში 7 ოქტომბერს, დილით სამშაბათს ღვთისმშობლის ეკლესიაში. (2620—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ვასილი ბოგდანის ძე, ნინო პეტრეს ასული, ძმები: ალექსანდრე, შალვა და ანდრო ვასილის ძენი მალაშხიები დიდ მადლობას უცხადებს ყველს ნათესავ-მეგობრებს, ვინც პირადათ დასწრებით, დეპეშით და წერილობით პატივი სცეს ძვირფას სამხ. მფრინავის კაპიტანის

**გრიგორი (გერტი) ვასილის ძე მალაშხიას**

დასაფლავების დროს. (2618—1—1)

დამწუხრებულნი: ვასილი ბოგდანის ძე, ნინო პეტრეს ასული, ალექსანდრე, შალვა და ანდრო ვასილის ძენი მალაშხიები დიდ მადლობას სწირავენ: როტის უფროსს, ოფიცრებს, მოტორისტებს, შოფერებს, ჯარისკაცებს და ყველა სამხედრო პირებს სამხ. მფრინავ როტისას ვინც თბილი და ახლო მონაწილეობა მიიღეს ტრაგიკულათ გარდაცვალებულის ძვირფას

**გრიგორი (გერტი) ვასილის ძე მალაშხიას**

დასაფლავების დროს. (2618—1—1)

გულდათუთქულნი დედა დარეჯან სოლომონის ასული, ძმები: ივანე, გიორგი, ალექსანდრე და ვლადიმერ დავითის ძენი სიხარულიძეები, მეუღლებითურთ, ბიძა მიხეილი და ბიძაშვილი სოლომონ კასრაძენი, დედამთილი ოლღა გიორგის ასული ლონდორიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 5 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 ს. ტრაგიკულათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი საექ. ნაწილის მე-3 კურსის მსმენელი

**სოფიო დავითის ასული ლონდორიძისა**

პანაშვიდი 7 ოქტომბერს, საღამოს 6 ს. გამოსვენება 8 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან (კიროჩნი ქუჩა № 65) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2622—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ვარლამ და ბორია, ბიძები კონსტანტინე დიმიტრის ძე და გიორგი იგნატის ძე, ბიცოლები: კეკელა და ფოცო ძნელაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 3 ოქტომბერს გარდაიცვალა პირველი ორის ძმა, მესამესი დის შვილი, მეოთხესი ძმის შვილი და უკანასკნელის მაზლის შვილი, მათი დაუვიწყარი

**ქრისტეფორე დავითის ძე ძნელაძე**

დაკრძალვა მოხდება სოფ. ბერნათში (გურია) სამშაბათს, 7 ოქტომბერს. (2623—1—1)

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ**

**ვ. რუხაძის ლექსები**

**„ცხოვრების ყვავილები“**

წიგნი მესამე—გამოცემა კანტორა „განათლებისა“. ფასი 25 მანეთი. გასაყიდათ დაურიგდა „განათლების აგენტებს. (6—5)

## საერთაშორისო მდგომარეობისათვის

საერთაშორისო მდგომარეობა, უკანასკნელ ამბების მიხედვით, თანდათან რთულდება. ვერსალის კონფერენცია, საითაც მიმართული იყო გამარჯვებულ სახელმწიფოთა მთელი ყურადღება, უძლურების წყაროთ გადაიქცა. მას არავინ უჯერის, მისი განკარგულება არავის ესმის, არავინ ასრულებს. პატარა რუმინიაც კი ეურჩება მის დადგენილებებს და ისე იქცევა, როგორც გამარჯვებული სახელმწიფო, თუმცა გერმანიის ხიშტის წინ მან საზავო კონფერენციამდე წამოიჩოქა. თვით დიდი სახელმწიფოები, რომელნიც იყვენ მთავარი შემქმნელი და ავტორი საზავო ხელშეკრულებისა, დღეს აჭიანურებენ თავის შემუშავებულ პირობებზე ხელის მოწერას.

გერმანია დაეთანხმა ზავის მძიმე პირობებს. ავსტრიამაც მიიღო და რატიფიკაცია უყო ვერსალის კონფერენციის ნაკარნახევს.

მაგრამ, დახეთ ბედის დაცინვას, თვით საფრანგეთს, ამერიკას, ინგლისს, იტალიას, დღემდე ეჭოჭმანებათ ამ ხელშეკრულების დადასტურება. თვითეული მათგანი ცდილობს იგი გადადოს ამა თუ იმ მიზეზით, ამა თუ იმ საბუთით, ზოგი ახალ არჩევნებს უცდის, ზოგი ახალ კაბინეტს, ზოგი კიდევ რას. და ასე თავის ნაშრომს თვითვე საეჭვოთ აქცევს.

რათ ხდება ასე?

რამ შეუკრთო ასე ხელი გაბატონებულ სახელმწიფოებს?

ომმა დაარღვია ევროპის შეიარაღებული წონასწორობა, ომმა დაარღვია თვით საფუძველი ძველი ურთიერთობის; კაპიტალისტური სისტემა შეიარაღებული მშვიდობიანობის.

ახალ პრინციპზე მშვიდობიანობის აგებისათვის მილიტარისტულ ევროპას ძალა არ დაურჩა, არც ინტერესი. იგი გამდიდრების წყურვილით ექსპლოატატორულ მიზნებით გატაცებული აწყდება ყოველ კუთხეს, იკვლევს მთელ სამყაროს, რომ თავისთვის მსუქანი ლუკმა აირჩიოს. ეს ტენდენცია კი თიშავს თვით მოკავშირეებს. მათი ინტერესები აქ ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ებრძვის, ეხეთქება. და ამით ზავის საქმე დიდ საფრთხეში ვარდება.

მეტათ რთული პრობლემებია ევროპის წინაშე წამოჭიმული და მათი გადაჭრა ძველი ევროპის იმპერიალისტურ მესვეურთ აღარ შეუძლიათ. ამ პრობლემათა სიმძიმის ქვეშ იზნიქება კონფერენცია, იშლება მისი მთლიანობა. სისუსტე და თითქმის სრული უილაჯობა დამარცხებულ ბუმბერაზების—გერმანიის და ავსტრიის—თავის მხრივ ხელს უწყობს გამარჯვებულთა თავაშვებულებას.

ამ გაბაბრუებელ გამარჯვების საზეიმო ყიჟინაში ინთქება გონიერება და პოლიტიკური წინდახედულება იმპერიალისტური ხელმძღვანელებისა.

და ევროპა იხლართება ისეთ წინააღმდეგობათა ქსელში, საიდანაც იგი დღევანდელი სახით ველარ გამოვა.

მხოლოდ ახალ ძალებს, მხოლოდ ამომავალ კლასებს შეუძლიათ გამოიყვანონ კაცობრიობა იმ უფსკრულიდან, საითაც იგი გამალებული მიექანება. ეს ამომავალი კლასია—პროლეტარიატი. საზავო კონფერენციის უძლურება—ეს ბურჟუაზიული ევროპის სრული გაკოტრების უტყუარი მაჩვენებელია. და ეს მაჩვენებელია იმისაც, რომ დადგა ჟამი პროლეტარიატის აქტიური დიდებითი საკაცობრიო შემოქმედებისა. ბურჟუაზიის ნაფერფლარზე იწყება ახალი ხანა—პროლეტარული ევროპის აღორძინებისა. იწყება განთიადი ახალი დემოკრატიული ურთიერთობისა, რომელიც მოიტანს სოციალიზმს.

იმპერიალისტთა დავა და გათიშვა იძლევა ნიადაგს მუშათა ბრძოლის გასაადვილებლათ. ქიშპობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა გადაიქცევა აკვნათ პროლეტარიატის გაერთიანებისა. მუშათა კლასი უკვე იკრებს ძალას.

ომის შემდეგ ინტერნაციონალი კვლავ მთელდება, იმპერიალიზმი კი ითიშება, მუშათა კლასი ირაზმება, ბურჟუაზიის ბატონობა კი დაქსაქსვის და დეზორგანიზაციის ხანას განიცდის.

ამრიგათ დაიწყება ტიტანიური ბრძოლა შრომისა და კაპიტალისა, საბოლოო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელმაც უნდა გადამწყვეტი როლი ითამაშოს კაცობრიობის ისტორიაში. რასაკვირველია, ამ ბრძოლის ფორმები ჯერ აშკარა სამოქალაქო ომათ არ მოგვევლენია ყველგან, მართალია, ბევრგან იგი ჯერ კიდევ ფარული ფორმით, ან ნაწილობრივ შეტაკებების სახით არსებობს, მაგრამ მისი გაძლიერება და გაალმასება ყოველ ეჭვს გარეშეა.

მართალია ისიც, რომ ეს ბრძოლა ორ დღეში არ გადაწყდება. სულმოკლეობა და სრული პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ბრძოლა ერთი დაკვრით გათავდება, რომ ბურჟუაზია უკვე სავსებით ლონე მილეულათ წარმოგვიდგინა... ჩვენ უნდა თვალებში შევხედოთ სინამდვილეს, ბრძოლა ხანგრძლივი მოგველის, შეჯახება ორი ევროპის—ძველის და ახალის—დიდხანს გასტანს, მათი ჭიდილი მრავალწლოვანი იქნება. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ მისი უცილობელი ტენდენცია, და ამ ტენდენციის მიხედვით ვამბობთ: ბურჟუაზიული ევროპა სუსტდება, ძალას კარგავს. პროლეტარული ევროპა კი ძალას იკრებს, თანდათან ძლიერდება. ამრიგათ გამარჯვება ბოლოს და ბოლოს მუშათა კლასს ეკუთვნის. მან ეს უნდა შეიგნოს და არც აჩქარებით საქმე გაიფუჭოს, არც გულგატეხილობით — ენერგია მოიდუნოს, მხნეობა წინ სვლაში, დაკვირვება—ბრძოლაში—აი ამას მოითხოვს ჩვენგან დღეს ცხოვრება.

## ვინ გაიმარჯვა?

ეროვნულმა დემოკრატებმა დამფუძნებელი კრებიდან პრესაში გადაიტანეს თავიანთი შეკითხვის განხილვა ჩარკვიანის დატუსაღების შესახებ. გაზეთ „საქართველოს“ თანამშრომელი ვინმე ე—ლი, ალბათ პარტიის დავალებით, დიდ ქებას ასხამს შეკითხვის ავტორებსა და სიხარულით აუწყებს თავის თანამოაზრეებს: „მმართველი პარტია დარჩა განმარტოვებული სრულიად ანტი სახელმწიფოებრივი არგუმენტაციით. მორალური მათი განადგურება იყო სრული, ხოლო თითებმა იხსნეს ის, რაც ვერ დაიცვეს ჭათ გონებით და აზროვნებითო“.

რაში გამოიხატებოდა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვის დედა აზრი?

ეროვნულ-დემოკრატებს დაუშვებლად მიაჩნიათ მოქალაქის ადმინისტრატიულის წესით დაპატიმრება. ამ აზრის გარშემო ტრიალებდა ყველა ორატორების არგუმენტაცია, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სექტორიდან.

იყო მეორე ბრალდებაც: რათ დაატუსაღა ბ. ჩარკვიანი გვარდიამ. ეს ბრალდება სრულიად უმნიშვნელოა და მხოლოდ ოპოზიციონერობის სენით შეპყრობილთ შეეძლოთ ამ ბრალდების შეკითხვის საგნათ გამოტანა. საკმაო იყო დამნაშავე პირების ჩვეულებრივი წესით სამართალში მიცემა, რომ შეკითხველებს მართლა ქონოდათ ამისათვის საკმაო იურიდიული საბუთი.

მაშასადამე შეკითხვის მთავარი ძარღვი ეხებოდა ადმინისტრატიულის წესით დატუსაღებას.

რა გამოარკვია შეკითხვის გარშემო მომხდარმა კამათმა?

პირველყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის მეტად სასაცილო მდგომარეობა, რომელშიაც ჩაცვივდენ ოპოზიციის როგორც იურისტები, ისე მოპროფესორო ბ. ნუცუბიძე; მათ ვერ შესძლეს ეჩვენებიათ კრებისთვის ის, თუ რომელი კანონი იქნა დარღვეული ჩარკვიანის ადმინისტრატიულათ დატუსაღებით. ამის ნაცვლათ ფედერალისტების ორატორი ბ. დადიანი რაღაც ჭორებით გაუმასპინძლდა დამფუძნებელ კრებას და მიუხედავათ სოც. დემ. დეპუტატების ენერგიულ მოთხოვნისა, მან არ ინება დასახელება იმ პირების, რომლებმაც თურმე სხვადასხვა ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, მაგრამ მაინც საპატიო ადგილებზე იმყოფებიან ცხადია, ვერც ეროვნულმა დემოკრატებმა და ვერც მათმა დამხმარე ფედერალისტებმა და ესერებმა ვერ შესძლეს დაემტკიცებიათ სამინისტროს მოქმედების უკანონობა, რითაც ყოველივე მნიშვნელობა დაუკარგეს შეკითხვას. შეკითხვა, როგორც სამართლიანათ აღნიშნა ს.-დ. ფრაქციის ორატორმა არსენიძემ, უნდა ეხებოდეს ან უკანონობას, ან მიზანშეუწონელ მოქმედებას, ხოლო შეკითხველებმა ოდნავათაც ვერ დაასაბუთეს ვერც ერთი, ვერც მეორე: სამინისტროს უკანონობა არ ჩაუდენია, რადგან ჯერ პარლამენტმა და შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ არა ერთხელ მიანდეს მთავრობას რესპუბლიკის დამრღვევ ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება და ასეთ დადგენილებას ყველა ფრაქცია უჭერდა მხარს, როცა საქმე შეეხებოდა სომეხ შოვინისტებს, ან ბალშევიკებს. რაც შეეხება მიზანშეწონილობას, ჩარკვიანის დატუსაღებამ ორ მაზრას ააცილა თავიდან ანარქიული გამოსვლები და დემოკრატიის სამართლიანი აღშფოთება ჩააქრო. და როცა ასეთი შეკითხვით მაინც გამოვიდნენ ნაციონ. დემოკრატები, ეს მხოლოდ ამტკიცებს მათს ჰოტენტოტობას, და არა სახელმწიფოებრივ სიმწიფეს, ხოლო მათმა ამყოლმა ფედერალისტებმა და ესერებმა საქვეყნოთ ცხად ჰყვეს, რომ დემოკრატიის ინტერესების დაცვა მათ არ შეუძლიათ.

აი რა გამოაშკარავდა დამფუძნებელ კრებაში და თუ კენჭის ყრის დროს სოც.-დემოკრატია განმარტოებული დარჩა, ის კიდეც ამაყობს ამით: მხოლოდ ის არის დემოკრატიის ჭეშმარიტი დამცველი.

## პრესა

საორშაბათო „სოციალ-დემოკრატი“ რუსეთის მდგომარეობის შესახებ სწერს და გზადაგზა საქართველოს სოც.-დემოკრატიას ებრძვის გაზეთის აზრით, ჩვენს სოც.-დემოკრატიას ბრალი ედება იმ საფრთხეში, რომელშიაც დღეს მოსკოვის მთავრობაა ჩავარდნილი. გაზეთის აზრით, საქართველოს სოც.-დემოკრატიამ აირჩია ყველაზე ადვილი პოლიტიკური გზა,—

„გზა შეთანხმებისა რეაქციონურ ძალებთან—როგორც მოხალისეთა ჯართან, ისე ადერბეიჯანის ხანებთან და ბეგებთან, რომლებმაც იმავ ბაქოს პროლეტარიატს გამოუცხადეს ბრძოლა... რაკი ამ მოლიპულ გზაზე დადგენ, ჩვენი სოციალისტები, ლიბერალები მიგორდნენ აშკარა მხარის დაჭერამდის. და ეს მხარის დაჭერა გამოიხატა მრავალ ნაბიჯებში, რომლებიც ზურს უმაგრებენ დენიკინს“.

რაში დაინახა გაზეთმა საქართველოს სოც. დემოკრატიის „შეთანხმება“ დენიკინელებთან? იმაში, რომ სოჭის ფრონტზე დენიკინელთა წინააღმდეგ დაბანაკებულია მთელი ჩვენი ჯარი? იმაში, რომ მთელი ჩვენი გვარდია ეს მერვე თვეა საომარ ფეხზე დგას და სახლში ველარ დაბრუნებულა? თუ იმაში, რომ ჩვენი რესპუბლიკა ენერგიულ პროტესტებს უგზავნის დიდ სახელმწიფოებს დენიკინელების ყოველ ძალადობის გამო მთიელთა მიმართ? ბალშევიკები დიდი ხანია ავრცელებენ ჭორებს საქართველოს მთავრობის და დენიკინელთა შეთანხმების შესახებ და ამ ჭორების გავრცელებაში მათ ხელს უწყობენ მათი ახალი თანამგრძნობნი რუსულ „სოციალ-დემოკრატიდან“. მაგრამ ჭორი ჭორად დარჩება, თუნდაც ეს ისეთმა მტკიცე რწმენის ადამიანებმა ავრცელონ, როგორიც „სოც.-დემოკრატის“ სულის ჩამდგმელნი არიან. რაც შეეხება შეთანხმებას „ბეგებთან და ხანებთან“, „სოც.-დემ.“ აქაც არ ეუბნება თავის მკითხველებს სიმართლეს: ეს შეთანხმება სპეციალურ მიზნით მოხდა—დენიკინის ჯარისაგან თავის დასაცავად, და მაშ როგორ შეაერთა გაზეთმა ერთის მხრით დენიკინელებთან შეთანხმება და მეორე მხრით შეთანხმება აზერბეიჯანთან დენიკინელებთან საბრძოლველათ? მაგრამ განა „სოც. დემოკრატს“ ლოღიკა მოეკითხება?

შემდეგ გაზეთი არკვევს ბალშევიზმის დამარცხების მნიშვნელობას:

„მოსკოვის დამარცხება იგივე პროლეტარიატის დამარცხებაა საქვეყნო იმპერიალიზმთან ბრძოლაში. მოსკოვის დაცემა საქვეყნო იმპერიალიზმის ფერხთა ქვეშ განართხობს სისხლ დაცლილ პროლეტარიატს და დიდი ხნით შეაჩერებს მის ძლევამოსილს სვლას სოციალიზმისაკენ“.

და ამ დამარცხებაში დამნაშავე იქნება თურმე ამიერ კავკასიის პროლეტარიატი.

„ამ ცხარე ბრძოლაში, რომელსაც ევროპიულ სოციალისტურ რევოლიუციის წინა რაზში, რუსეთის პროლეტარიატი ეწევა, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა და არ ღებულობს სახელოვანი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი. კიდევ მეტიც, მისი ეხლანდელი ბელადები შეთანხმებას აწყობენ რევოლიუციის მტრებთან“.

ბალშევიკურ გადატრიალების პირველ დღეებშივე ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ის გზა, რომელიც ბალშევიკებმა აირჩიეს, პირდაპირ რეაქციისაკენ მიდის; ერთმა იმ ბელადთაგანმა, რომლებსაც ასე დაგვიანებით ბრალს სდებენ კომუნისტების ახალ ნაშობნი მეგობრები, პირველ დღეებშივე სთქვა, რომ „ბალშევიკების მიერ გაღებულ კარებში კონტრ რევოლიუცია შემოიჭრებაო“, რომ ეს გამარჯვება კონტრ-რევოლიუციისა რუსეთის პროლეტარიატზე დიდი მარცხი იქნება საერთაშორისო პროლეტარიატისთვის, ამაშიც არა ერთხელ გაგვიფთხილებია ბალშევიკები. და დღეს, როდესაც ლამის არის გამართლდეს ჩვენ მიერ არა ერთხელ და ორჯერ გამოთქმული გაფრთხილება, ბალშევიკების ახალ შეძენილი მეგობრები გამომდგარან და გაიძახიან, ეს სულ თქვენი ბრალიაო! სინიდისიც ასეთი უნდა!

## უკანასკნელი ცნობები

**დაღესტანში.**

გუშინ პეტროვსკიდან ჩამოსულები ამბობენ, რომ მოხალისეებმა დაღესტნელების ზურგში გაგზავნეს გენ. პოკროვსკის კორპუსი. მიმოსვლა პეტროვსკ-როსტოვის რკ. გზის ხაზზე აღდგენილია. მთელ ხაზზე ცხენოსანთა გაძლიერებული ზვერვაა. სადარაჯოებს სიგნალის აპარატები აქვთ და საკმარისია რამოდენიმე წუთი, რომ იმ პუნქტებში, რომელთაც რაიმე საფრთხე გამოუჩნდებათ, საჭირო ძალები გაიგზავნოს ყველაზე საშიშ ადგილში—ხასავ იურტსა და გუდერმეს შორის—სამგზავრო მატარებელთ თან სდევენ ჯავშნოსნები.

გენ. ერდელის ბრძანებით მე-8 დივიზიის უფროსი გენ. რუდნიევი ინიშნება მოხალისეთა ჯარების უფროსად დაღესტანში.

კავკავში გამოცხადებულია მცხოვრებთა საერთო მობილიზაცია, 17—55 წლამდე, განურჩევლად ეროვნებისა, რომ შეიქმნეს მრავალრიცხოვანი საქალაქო და სამაზრო პოლიცია. („აზ“.)

გროზნთან ბრძოლებში დაიღუპა ჩრდილო კავკასიის მთიელებში კარგად ცნობილი რევოლიციონერი ასლან ბეგ შერიპოვი.

**ადერბეიჯანში.**

უსუბბეკოვმა ვერ შესძლო კაბინეტის შედგენა და სულ უარი სთქვა მის შედგენაზე. მოლაპარაკება სწარმოებდა მემარჯვენე წრეებში, რომლებიც ვერ შეთანხმებულიყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელში. მუსავატელებმა ულტიმატიურად მოითხოვეს შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი თავისთვის და განაცხადეს, რომ მას ისინი არავის დაანებებენ. 3 ოქტომბერს მოხდა თათბირი პარლამენტის ფრაქციებისა, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ერთმა პარტიამ ახსენა სულთანოვის სახელი, როგორც კანდიდატისა პრემიერად.

**ყუბანი და მთიელები.**

ყუბანის საკანონმდებლო რადის სხდომაზე შესულ ერთ არაპირდაპირ შეკითხვაზე სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლებმა გამოსთქვეს თავისი დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების ტრაღედიისადმი.

ყუბანის პარლამენტის ტრიბუნიდან წარმოთქმული განცხადებანი მიმართულია მოხალისეთა გენერლების და იმ ლიბერალურ-კადეტურ საზოგადოებრივ წრის წინააღმდეგ, რომლებმაც უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა იმ სისხლის მდინარეებისათვის, რომლებსაც აქვს ადგილი საჩეჩნეთში და დაღესტანში. ამ განცხადებებმა უნდა გაახაროს ყველა მთიელები, თერგ-დაღესტანის მხარის მთელი დემოკრატია.

ყუბანის რადაში იკითხებოდა სულთან შიხამ-გირეის განცხადება, რომლითაც ის უარს აცხადებს სამხრეთ რუსეთის მთავრობის შესაქმნელად მოწვეულ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. ეს განცხადება დაასაბუთა მთიელთა დელეგაციის სახელით რადის წევრმა გატა გოგუმ.

როდესაც შედგა კონფერენცია, ამბობს ის, მაშინ წარმოიშვა საკითხი ყუბანის, დონის და თერგის ოლქის შეერთებაზე, მაგრამ ღებულობდნენ მხოლოდ დაღესტნელებს, სხვა მთიელთა ხალხს კი უარს უცხადებდენ. ამ გარემოებამ გამოიწვია ეჭვი—იქნება თუ არა მთიელთათვის სასარგებლო ჩვენი წარმომადგენლების დასწრება კონფერენციაზე. რიაბოლოვის სიკვდილის შემდეგ თავმჯდომარეობა გადმოვიდა ჩვენს წარმომადგენელზე, რამაც ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო არა ნორმალური გახადა.

მეორე საბუთათ ს. შახის უკან გამო-

# დღეს

საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაახლოვება ხდება. მალე მათ შორის ვაჭრობა განახლდება.

ესტლანდიის, ლატვიის და ლიტვის რესპუბლიკათა მთავრობებმა აცნობეს საბჭოთა რუსეთს, რომ მზად არიან დაიწყონ საზავო მოლაპარაკება. მოლაპარაკების ადგილად არჩეულია ქ. იურიევი.

ცარიცინში დენიკინის მიერ გამოცხადებულ საყოველთაო მობილიზაციაზე ფაბრიკა ქარხნების მუშებმა საერთო გაფიცვით უპასუხეს. დააპატიმრეს 150 ზე მეტი სპეციალისტი მუშა, რომელთაგან მრავალი დახვრიტეს.

ციმბირში აჯანყება იზრდება. მრავალ სოფლებში საბჭოთა ძალაუფლება გამოცხადდა. კოლჩაკი გადასახლებით, დახვრეტით და სოფლების განადგურებით იმუქრება.

არხანგელსკიდან ინგლისელები წავიდნენ.

ურალსკის რაიონში ბალშევიკებმა მტერს 110 ვერსზე სამხრეთით დაახევინეს.

რუსეთში ყველა ფრონტებზე მედგარი ბრძოლებია.

როსტოვში კავკავის რკინის გზის მუშების გაფიცვაა

ძახებისა ორატორი ასახელებს ყაზახებსა და მთიელებს შორის არსებულ არა ნორმალურ განწყობილებას, რაც ხასიათდება ყაზახების მხრივ უნდობლობით.

შემდეგ ორატორი მიუთითებს რა დაღესტანში და საჩეჩნეთში მთიელთა დარბევაზე, ასკვნის, რომ არავინ არ ხედავს და არც დაინახავს თერგში მომქმედ ყაზახთა ნაწილების გასამართლებელ საბუთებს.

დაღესტანს ბრალს ვერ დავდებთ ბალშევიკობაში, ვინაიდან ის საკუთარის ძალებით ებრძოდა ბალშევიზმს. ამ გარემოებამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

შემდეგ ლაპარაკობს შავი ზღვის ჯგუფის წარმომადგენელი პეტრე მიკარენკო.

ჩვენ ყველანი, ამბობს ორატორი, ზიზღით ვეპყრობით იმას, რაც წელს უყვეს მთიულებს, მაგრამ, რომ ხელი შეგვეშალა იმისთვის, რამაც მძიმე ჭრილობა მიაყენა მთიელთა ხალხს, იყო ერთი გზა, გზა იარაღით ბრძოლისა ჩვენი იძულებით თანამშრომლებთან. ამ გზაზე კი ჩვენ ვერ შევდგებოდით, ვინაიდან ბალშევიზმი ჩვენთვის უფრო საშიშოა, ვინემ მონარქიზმი, რომლის დაძლევის იმედს ჩვენ არ ვკარგავთ.

სხვა ქალაქთა ჯგუფების სახელით ასეთივე განცხადება გააკეთა რადის წევრმა პრეობრაჟენსკიმ; „ლინეელების" ჯგუფისაგან მოხსენებას აკეთებს რადის წევრი ავდეევი

## ყაბარდოში.

როდესაც მოხალისეებმა მობილიზაცია გამოაცხადეს 18—45 წლამდე, თითქმის ყველა იარაღის ტარების შემძლე ყაბარდოელებმა მთებს შეაფარა თავი. ახლა სიცოცხლე სდუღს მხოლოდ მთებში, სადაც შეიარაღებული მასები ყაბარდოელებისა უცდიან მოხერხებულ დროს, რომ კვლავ თავიანთ მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. ხანდისხან ეს რაზმები მთებიდან ეშვებიან ძირს და ხშირად იმართება შეტაკება მათ და მოხალისეთა შორის. ამ ჟამად მოხალისეებმა თავიანთი ჯარები წაიყვანეს ბალშევიკების ფრონტზე, ყაბარდოში კი დატოვეს უმნიშვნელო ნაწილები წესრიგის დასაცავად: ამით ისარგებლეს ყაბარდოელებმა და ჩამოეშვენ ვაკეზე. მათ ბრძოლა დაუწყეს მოხალისეთა რაზმებს სოფ. ნალჩიკო და ანზოროვოსთან.

ანზოროვოსთან 20 სექტემბერს მოხდა დიდი სისხლის ღვრა. მოხალისეთა დამსჯელი რაზმი კოჟოკოვის მეთაურობით სასტიკად დამარცხდა და გაიქცა ნალჩიკისაკენ. 28 კაცი მოკლული დატოვეს. მოკლულთა შორისაა თვითონ კოჟოკოვიც. მოხალისეებს გამოუწვევიათ დამხმარე ძალები. („ვ. გ.")

# დამფუძნებელი კრება

3 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული)

**ვ. ჯუღელი.** ჩვენ ამ უბრალო შეკითხვას ძალიან დიდი დრო მოვანდომეთ და ეს იმ დროს, როცა ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ ასეთ შეკითხვებს ცოტა დროს უნდა ვანდომებდეთ, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. ამ შეკითხვის გარშემო გაერთიანდნენ: სოც. ფედ., ნაც. დემ. და სოც. რევ. და მათ გააზვიადეს ეს შეკითხვა. მე არ მიკვირს, რომ ნაც. დემოკრატები ასე ალმაცერათ უცქერიან გვარდიის მოქმედებას, მაგრამ მე მიკვირს, რომ ნაც. დემოკრატებს აჰყვნენ ზოგიერთი ძველი რევოლიუციონერები, როგორიც არის შ. მესხიშვილი და სავსებით კანონიერების ნიადაგზე დადგნენ. განსაკუთრებით გაიურისტდა და რევოლიუციონერობა დაავიწყდა ამხ. შ. მესხიშვილს.

თქვენ, მარცხენა სექტორზე მყოფნო, უნდა იცოდეთ, რომ საქართველოს დემოკრატია, მუშათა კლასი და მის წიაღიდან გამოსული სახალხო გვარდია, თავის წმინდა სისხლით იცავდენ საქართველოს დამოუკიდებლობას გარეშე და შინაურ მტრებისაგან, ამ დაცვაში, ამ რევოლიუციონურ ნაბიჯების გადადგმის დროს, ჩვენ ხშირათ ვშორდებოდით კანონიერების ნიადაგს და ვმოქმედობდით ისე, როგორც ამას გვიკარნახებდა ჩვენი რევოლიუციონური რწმენა, სინდისი; ჩვენ რომ სავსებით კანონიერების ნიადაგზე დავმდგარიყავით ამ რევოლიუციონურ ხანში, მაშინ, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამით ვავნებდით თვით ამ კანონიერების განმტკიცებას, იურიდიული ნორმების ჩამოყალიბებას და სხვა.

თქვენ, ვინც ასე სასტიკათ ილაშქრებთ ჩვენი მოქმედების წინააღმდეგ, ვერ დაგვისახელებთ ვერც ერთ მაგალითს იმისას, რომ ჩვენს ასეთ ნაბიჯებს დემოკრატიისათვის ზიანი მიეტანოს.

აქ ორი შეხედულებაა: ერთი ნაც.-დემოკრატების, მეორე—ჩვენი. ამ ორ შეხედულებას შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენი შეთანხმება შეუძლებელია ნაციონალ-დემოკრატები რომ ჩვენთან იყვნენ, მაშინ ჩვენი პოლიტიკა დასაგმობი იქნებოდა, მაგრამ, როცა მარცხნიდან აჰყვებიან მათ (მიუთითებს სოც.-ფედ.) ეს კი სამწუხაროა. ეს მოასწავებს ამ მემარცხენე ჯგუფის (სოც.-ფედ.) გაკოტრებას. ურჩევ მათ, ვინც ძველად რევოლიუციონერი იყო, რაც შეიძლება მალე ჩამოშორდენ ნაც.-დემოკრატებს.

ჩვენს მთავრობას კი ვურჩევთ სასტიკი ბრძოლა აწარმოვოს, როგორც მარცხნივ ისე მარჯვნივ, ხოლო ბრძოლას სიმძიმის ცენტრი გადიტანოს მარჯვნივ. (ტაში)

**ლ. შენგელაია** (ს.-რ.) ილაშქრებს ადმინისტრაციის მოქმედების წინააღმდეგ საერთოდ და არ მოსწონს ადმინისტრატიული ზომების მიღება.

**თ. კიკვაძე** (ს. დ.) ამტკიცებს, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები გამოწვეული იყო ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლით, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მთელი ლეჩხუმის მაზრა თანაგრძნობით ეპყრობა მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს და მოითხოვს ბოროტ მომქმედთა სასტიკათ დასჯას. ორატორი ამტკიცებს აგრეთვე, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია სავსებით იურიდიული ნორმების ცხოვრებაში გატარება და ამიტომ მთავრობამ აუცილებლათ უნდა მიმართოს ადმინისტრატიულ ზომებს. ჩვენ ვავალებთ მთავრობას კვლავ განაგრძოს ადმინისტრატიული ზომებით ბრძოლა ბოროტ მომქმედთა წინააღმდეგ.

**შ. ნუცუბიძე** (სოც. ფედ.) აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში დარღვეულია კანონების (კ. ნინიძე ადგილიდან რამოდენიმეჯერ ეკითხება სახელდობრ რომელი კანონია დარღვეულიო, მაგრამ ორატორისაგან პასუხს ვერ იღებს). ის უპასუხებს წინა მოლაპარაკე ორატორებს, მას არ აკმაყოფილებს მინისტრის განმარტება და დასასრულ არდგენს სოც.-ფედ. სახელით რეზოლიუციას, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნულ კონკრეტიულ შემთხვევის შესახებ მინისტრის განმარტება არ არის დამაკმაყოფილებელი და ურჩევს მინისტრს შემდეგში ძალიან სიფრთხილით იხმაროს ადმინისტრატიული ზომები.

შემდეგ ლაპარაკობენ **ი. მაჭავარიანი** და **ხ. დადიანი** (ს. ფ.). პირველი იცავს თავის შეკითხვას, მეორე კი (დადიანი) წინააღმდეგია მთავრობის მოქმედებისა და ილაშქრებს ადმინისტრაციის წინააღმდეგ. მას მოყავს რამოდენიმე დაუსაბუთებელი ფაქტი ადმინისტრაციის თვითნებობისა. ფაქტები მართლა შემაძრწუნებელია. მას დეპუტატები რამოდენიმეჯერ შეეკითხნენ დაესახელებია ის პიროვნებები, რომელნიც ასეთ ამბებს სჩადიოდენ, მაგრამ ის ვერ ასახელებს.

**რ. არსენიძე** (ს. დ.) ეს შეკითხვა მართლა არ იყო ამდენი ყურადღების ღირსი, მაგრამ, სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს ამ ტრიბუნიდან, რომ ჩვენს საპარლამენტო ფრაქციებს ერთი ძალიან ცუდი მხარე ემჩნევათ: როცა აქ სერიოზული, ღრმა სახელმწიფოებრივი საკითხები დაისმება, მაშინ არც ერთი ოპოზიციაში მყოფი ფრაქცია ხმას არ იღებს, (მაგ. სახელმწიფო ბანკის დაარსების საკითხი და სხვ.) ისეთ უბრალო საკითხებზე კი, როგორიც არის ნაც. დემოკრატების მთავრობისადმი შეკითხვა, მთელს კორიანტელსააყენებენ. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ამ ფრაქციებს არა აქვთ შემოქმედებით მუშაობის ნიჭი, უნარი, არა აქვთ სახელმწიფოებრივი მუშაობისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება.

ორატორი ამტკიცებს, რომ ეს შეკითხვა უნდა იყოს მიმართული კანონის დარღვევის, ან მიღებული ზომების მიზანშეუწონლობის წინააღმდეგ. კანონის დარღვევა აქ არ არის. ამაზე ვერც ერთმა ორატორმა ვერ მიუთითა მინისტრს. უკანასკნელი ორატორი (დადიანი) დაგვპირდა, გეტყვით თუ რომელი კანონია დარღვეულიო, მაგრამ ისე წავიდა ტრიბუნიდან, რომ ვერ სთქვა. ვერც მიზანშეუწონლობის მხრით უთქვამთ აქ არაფერი.

ჩვენ მივეცით მთავრობას ზოგიერთი პრინციპიული დებულებები, ამ დებულებებით სარგებლობს მთავრობა. თუ რაიმეს ჩაიდენს ცუდს ადმინისტრაცია, მაშინ ის უნდა განიზომოს მიზანშეწონილობის მხრივ. აი სწორედ ასეთ შემთხვევებში ჩვენ შეგვიძლია პასუხი მოვთხოვოთ მთავრობას. ამ კონკრეტიულ შემთხვევაში კი მთავრობის ნაბიჯი სავსებით მიზანშეწონილია.

აქ წინა მოლაპარაკე ზოგიერთი ორატორები თანასწორობის ნიშანს სვამდენ დემოკრატიის და მოქ. ჩარკვიანს შორის. (გვაზავა: რა შუაშია აქ დემოკრატია?) იმ შუაშია, რომ ის დემოკრატია, რომელიც თავის ზურგით ზიდავს ყოველგვარ გაჭირვებას და სისხლით იცავს ჩვენს რესპუბლიკას, მოითხოვს მტრების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას. როდესაც ასეთი მდგომარეობა არის, მთავრობას სრული უფლება აქვს მიიღოს ადმინისტრატიული ზომები ბოროტ მომქმედთა წინააღმდეგ. აქ ამ შემთხვევაში ზოგიერთი ფრაქციები წამოეგენ იურიდიულ პრინციპზე, მაგრამ ეს იურიდიული პრინციპი ახსოვთ მხოლოდ ერთ შემთხვევაში—როცა მთავრობა ებრძვის მემარჯვენეებს. პირიქით, როცა ასეთივე ზომებით მთავრობა ებრძვის მემარცხენეებს, მაშინ ეს კარგია. ასეთი საზომით სახელმწიფოს შენება ყოვლად შეუძლებელია.

მიღებული ზომები კი, ვიმეორებ, სწორი და მიზანშეწონილია. ეს მოქმედება სხვანაირი რომ ყოფილიყო, მაშინ სრულ ანარქიას მივიღებდით. როდესაც დემოკრატია ხედავს, რომ ბოროტმომქმედნი ისჯებიან, მას უმტკიცდება დემოკრატიული წყობილებისადმი რწმენა. ის ამაში ხედავს თავის ინტერესების დაცვას. საქართველოს მთავრობას კი არ შეუძლია დემოკრატიის ინტერესების დაცვაზე ხელი აიღოს.

თქვენ აქ მოგიყვანეს მაგ. ჩარკვიანის 15 წლის განმავლობაში მოღვაწეობისა. ნუ თუ ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ადამიანი დარწმუნდეს მის მოქმედების სიავკარგეში და მის წინააღმდეგ სათანადო ზომები მიიღოს? ეს საკმარისია, მაგრამ აქ არის დაცვა წრის ხალხის, თუნდაც ის რეაქციონერი მისწრაფების იყოს. ასეთი ჯგუფები სახელმწიფოს მესაფლავეთ თუ გამოდგებიან, თორემ მის ამშენებლათ ვერ ივარგებენ.

სანამ ჩვენ არ დაგვირღვევია ჩვენი დადგენილება ადმინისტრატიული ზომების ხმარების შესახებ, მანამ მთავრობას უფლება აქვს ეს ზომები იხმაროს როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მემარჯვენენი და მემარცხენენი თანასწორნი უნდა იყვნენ. ამაზე მე არ შევჩერდები.

დასასრულ არ შეიძლია დასკვნა არ გაუკეთო ბ. დადიანის ნალაპარაკევს. მისი სიტყვა სახელის გამტეხია დეპუტატისათვის მან ჩამოთვალა რამოდენიმე ფაქტი და არც ერთი პიროვნება არ დაასახელა, მიუხედავათ იმისა, რომ მას რამოდენიმეჯერ შეეკითხნენ ადგილიდან დაესახელებია თუ ვის მიმართ იყო ხმარებული თვითნებობა. მან ეს არ იცის. ჩვენ შეგვიძლია აქედან ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: ბ. დადიანი ან მონაწილე და მფარველია იმ ბნელი ადამიანებისა, ან და უბრალო ჭორიკანაა. თუ მას შესწევდა მოქალაქობრივი გამბედაობა, უნდა გამოექვეყნებინა ეს ბოროტმოქმედნი, რომ მთავრობას საშუალება ქონოდა მათ წინააღმდეგ ზომების მიღებისა. მაგრამ ის ვერ აქვეყნებს, ის ისვრის მხოლოდ ყრუ ბრალდებებს, რომ ქუჩაში ისარგებლონ ამით და მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გასწიონ. ასეთი გამოსვლა უღირსი და შეუწყნარებელია დამფუძნებელი კრების წევრისათვის და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს აქ. (მხურვალე ტაში).

მიღებულ იქნა სოც. დემ. რეზოლიუცია: „მოისმინა რა ეროვ.-დემოკ. შეკითხვა მთავრობისადმი შესახებ ნიკ. ჩარკვიანის დაპატიმრებისა და მთავრობის დამაკმაყოფილებელი პასუხი, დამფუძნებელი კრება გადადის მორიგ საკითხზე."

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ს ო მ ხ ე თ შ ი.**

გაზ. „აზერბეიჯანი" 5 ოქტომბრის ნომერში სწერს:

„ამ დღეებში ბაქოში ჩამოვიდა ერევნიდან ეჩმიაძინის მაზრის ერთი-ერთი მცხოვრები, რომელმაც შემდეგი გადასცა ჩვენს თანამშრომელს სომეხ ბანდების მუსულმან მცხოვრებთა მიმართ მხეცური საქციელის შესახებ. „20 დღის წინეთ, ჩვენს სოფელ დჯანფიდაში მოვიდნენ სომხეთის ადმინისტრაციის მოხელენი და გამოგვიცხადეს, რომ კომისარი თხოულობს 80 კაცს საზოგადოების წარმომადგენლებს მიწის რეფორმის საკითხის გამოსარკვევათ. კრება უნდა მომხდარიყო სოფ. შახრიახში. როცა მივედით სოფ. შახრიახში, ყველა წარმომადგენელნი მოგვათავსეს ერთ ოთახში და აქედან დაიწყეს მათი თითო-თითოდ გაყვანა. ჩვენ არ ვიცოდით, თუ სად მიყავდათ. ბოლოს როცა 80 კაცისაგან ოთახში დარჩა მხოლოდ 17 კაცი, ერთმა მათგანმა დაიწყო რწმუნება, რომ გაყვანილ წარმომადგენლებს სომხები კლავენო. ის იყო ჩვენ გადავწყვიტეთ გაქცევა გავიქეცით. გვესროლეს და 14 მოგვიკლეს, გადაურჩით სამი კაცი. ჩვენი სოფელი დაანგრიეს და გაანადგურეს ბანდებმა. ასევე დაარბიეს ჯანფიდას გარშემო სოფლებიც. მცხოვრებნი ტყვეთ წაიყვანეს. 360 ტყვესაგან 16 დღის წვალების შემდეგ გაანთავისუფლეს მხოლოდ 60 ქალი, დანარჩენები ამოხოცეს. აღნიშნულ რაიონის სოფლების: იგდალარის, ქიარიმარხი, აგდაჯა კრაკი და მალლა-ბედალის მცხოვრებნი ამოხოცეს. ტალინსკის რაიონში დარბეული და განადგურებულია შემდეგი სოფლები: კოიტული, ავანი, კარადჯადარი, უდჯანი, კუში, ტალიშეკრლი, მაგდაჯაზი, დიანი, იაშიმი, აშაგა, აგჩა-ვადა, აშაგა-კარა-კუვაზი, აკლენლი, მეხრაბინი, ტალინი, ტეკანი, პირ-მელიკი, ახენჯი, კულ-დერვიში და იშნიაკი. ეკვლინსკის რაიონში—ქურდიალი, ელი-ნები, კარაჯურენი, კირიშტინი, ბაბა კიში, პელა შალი, აკ-გურენი დელილერი და სხ.

სომხების მიერ ალყა შემორტყმულია ეკრეკი, ახისი, ორკუ, კოშა-ბულაკი, პარკი, ტივი, ნიზერი, ვანი, ხუშუკ, პერსი, კიჩიკ, კენდი და ხამამლი. დიდძალი ლტოლვილნი ამ სოფლებიდან დაიხოცენ, ნაწილი კი შარურის რაიონში მივიდა.

მუსულმანების მდგომარეობა სომხეთში მეტის მეტად მძიმეა და თუ არ იქნა მალე მიღებული სათანადო ზომები, იქ მუსულმანებს მოელის სავსებით ამოხოცვა და განადგურება".

**საბჭოთა რუსეთის მიმართვა.**

4 ოქტომბრის (№ 12) ბაქოს გაზეთ „ბედნოტა-"ში დაბეჭდილია მიმართვა ადერბეიჯანის, საქართველოს და დაღესტნის მუშებსა და გლეხებისადმი რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა, რომელსაც ხელს აწერს საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი და საგარეო საქმეთა კომისარიატის მუსულმანური ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ნარიმან ნარიმანოვი. მიმართვაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ უნდა დენიკინს, ინგლისის დახმარებით, კავკასიის დაპყრობა და ასე თავდება: „საბჭოთა რუსეთს განზრახვა არა აქვს იარაღით ხელში წამოვიდეს თქვენ რესპუბლიკებში თავისი ძალა უფლების აღსადგენად. ის მტკიცეთა სდგას ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპზე. მან ეს დაამტკიცა საქმით, როდესაც მისცა ავტონომია ყველაზე ჩამორჩენილ ბაშკირებს და სხვა ხალხებს.

და თუ თქვენ კავკასიის ქართველები და მაჰმადიანები კმაყოფილნი ხართ თქვენი რესპუბლიკების წესწყობილებით, იცხოვრეთ თქვენთვის მშვიდობიანათ, თვით გამოერკვიეთ და აღადგინეთ რუსეთთან კეთილი მეზობლობა. საბჭოთა რუსეთი გამოსთქვამს ღრმა იმედს, რომ დაღესტნის, ადერბეიჯანის და საქართველოს მუშები და გლეხები არ გააქელვინებენ თავის თავისუფლებას ინგლისის ჯალათს—დენიკინსაო."

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

6 ოქტომბერი.

**ბალშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** ლონდონი ოქტ. 1. ინგლისში გაფიცვა ძლიერდება. რკ. გზელთა კავშირმა მთავრობას აუწყა, რომ თუ გარემოება მოითხოვს ის გაფიცვას მხარს დაუჭერს.

**ბელოსტროვი** სექტ. 30. „კარიალა" ს ცნობით, არხანგელსკში ინგლისელთა მთავარი შტაბი და 1000 ჯარისკაცი გემებზე დასხეს ინგლისში გასამგზავრებლად. ჩრდილოეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს სამსახურიდან განთავისუფლებული ინგლისელი ჯარისკაცები დაიქირაოს. მთავრობას იმედი აქვს შეადგინოს ერთი ბრიგადა ტყვიის მფრქვეველებით და ზარბაზნებით.

**მოსკოვი.** ოქტ. 5. ჩვენი ჯარი სამხრეთის ფრონტზე განაწილებულია თანახმად კარგად შემუშავებულ გეგმისა, რომელიც მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში. მტრის უმთავრეს ძალებზე ჩვენი შეტევა შეუდრეკელად გრძელდება. ამ დღეებში ბოგუჩარის რაიონში ოცი ზარბაზანი ვიგდეთ ხელთ. ვეშენსკაიას სტანიცის აღება მოწმობს ჩვენი ჯარის მარჯვე წინსვლას ყაზახთა ცენტრისაკენ, რომელმაც ერთად ერთმა მისცა დენიკინს ძალა. კოლჩაკი ვერ შეგვაშინებს და საბოლოო გამარჯვებას მივაღწევთ. პროლეტარიატმა შეიგნო საფრთხე და მტრების მედგარ შემოტევას წითელ გამარჯვებით უპასუხა.

**მოსკოვი.** ოქტ. 4. ცარიცინში დენიკინის მიერ გამოცხადებულ საყოველთაო მობილიზაციაზე ფაბრიკა ქარხნების მუშებმა საერთო გაფიცვით უპასუხეს. დადგა ტრამვაი, წყალსადენი და ელექტრონის სადგური. „ოხრანკა" მ დააპატიმრა 150 ზე მეტი სპეციალისტი—მუშა, რომელთაგან მრავალი დახვრიტეს.

ციმბირში აჯანყება იზრდება. მრავალ სოფლებში საბჭოთა ძალა უფლება გამოცხადდა. კოლჩაკი გადასახლებით, დახვრეტით და ამ სოფლების განადგურებით იმუქრება.

**მოსკოვი.** ოქტ. 4. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. ლუგანსკის მიმართულებით სად. ლიქმიდან 15 ვერსზე ჩვენი ჯარი პოზიციებს ამაგრებს. პეტროზავოდსკის მიმართულებით მდ. უნის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება, ხელში ჩავიგდეთ 400 ყუმბარა, 30,000 ტყვია, ტელეგრაფის მასალა და სხვა სამხედრო ქონება. ოლონეცის მიმართულებით მტერი შეეცადა ჩრდილოეთ დასავლეთით გადმოსვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. პოვენეცის ყურეში ჩვენი ჰაეროპლანებმა მტრის ნავებს უშენდა. დასავლეთის ფრონტი. ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. დვინის რაიონში 25—40 ვერსზე ჩრდილოეთ დასავლეთით მტერი დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა. მათ განსადევნათ ზომებია მიღებული.

ლეპელის მიმართ. ჩვენმა ჯარმა კალონინი დაიჭირა ბორისლვის და ბობრუისკის მიმართ. ჩვენ სასარგებლოდ ბრძოლა გრძელდება მოზირის რაიონში მტერმა გვაიძულა რამოდენიმედ დაგვეხია. ჩერნიგოვის რაიონში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა. სამხ. ფრონტი. ნოვგოროდ სევერსკის რაიონში 12 ვერსზე სამხრეთით ბრძოლაა. კურსკის მიმართ. მდგომარეობა უცვლელია. პავლოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. სოფ. რუსკოეს, ბუილოვის და მამონის ხაზზე გამოვიდა. სადგ. კლეცკაიას რაიონში მტერმა, რომელიც დონზე გადმოვიდა, მარცხენა ნაპირზე რამდენიმე პატარა სოფელი დაიჭირა. ამ რაიონში ბრძოლა გრძელდება. ასტროვის ფრონტზე სიწყნარეა. ცარიცის რაიონში ჩვენ სამხრეთით 20 ვერსზე კარნოვისტიე დავიჭირეთ. ურალსკის რაიონში მე-2 პიკინის რაიონში ურალსკის სამხრეთ-დასავლეთით 110 ვერსზე მტერს სამხრეთისაკენ დავახევიეთ. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. აღმოსავლეთის ფრონტი. კურგანის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. ტობოლისკენ დაიხია, იალუტუროვის რაიონში მთელ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. იშიმის რკინის გზის ჩრდილოეთით ბალშოი ტუმაშევიდან ჩვენ მტერი გამოვდევნეთ აღმოსავლეთისაკენ. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ სამხედრო ქონება.

ლატვიაში ულმანის მთავრობამ ყველა მამაკაცები 16—60 წლამდე ჯარში გაიწვია. სურსათი არ არის. გლეხებს მოსავლის ორი მესამედი ჩამოართვეს უფასოთ. გლეხებს გადასახადათ დაადევს: ერთი წყვილი ჩექმა და საცვლები თეთრებისთვის. გლეხები წითელი ჯარის სასარგებლოთ არიან განწყობილნი. ბალტიის სამხ. მთავრობას რადიო დეპეშა საგარეო საქმეთა კომისარ ჩიჩერინს: ესტლანდიის, ლატვიის და ლიტვის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა მთავრობებმა, განიხილეს რა საბჭოთა რუსეთის წინადადება, გაცნობებთ, რომ მზად ვართ დავიწყოთ საზავო მოლაპარაკება არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა. მოლაპარაკების ადგილად არჩეულია ქალაქი იურიევი. სამხედრო ცნობა, ოქტომბ. 5. ჩრდილოეთის ფრონტი, პეტროზავოდსკის მიმართ. ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს. დანარჩენ მიმართულებით დროგამოშვებით ზარბაზნების სროლაა, და მზვერავები მოქმედებენ. დასავლეთის ფრონტი ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი სად. სტრუგისა და ბელიასთან იბრძვის მოზირის და ჩერნიგოვის რაიონებში მედგარი ბრძოლაა. დენიკინის ფრონტი. კურსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და კრომის სამხრეთით 20 ვერსზე რამდენიმე სოფელი აიღო. ჩვენი ჯარი განაგრძობს სევსკზე შეტევას, ლვოვისკენ დმიტრიევო აიღო მალო არხანგელსკის ჩრდილოეთით 15 ვერსზე ჩვენი ჯარი სადგ. კურაგინოს ასაღებათ იბრძვის. ბოგუჩარის ჩრდილო - აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე დონის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ კონტრ იერიშით უკან გავაბრუნეთ. აქ წამოვიყვანეთ 40 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი. ცარიცინისკენ, პიჩუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. თურქესტანის ფრონტი. ცარიცინის რაიონში მტერმა შემოტევა დაიწყო, მაგრამ მოვიგერიეთ ოქტ. 3 მტრის ჰაეროპლანმა ჩორნი იართან 30 მსხვილი ყუმბარა ჩამოაგდო ჩორნი იარის სამხრეთით 15 ვერსზე ჩვენმა ჯარმა შეტევა დაიწყო სოლენოზიათ [illegible] ამორკვეული არ არის. აღმოსავლეთის ფრონტი. [illegible] ზარბაზნების სროლაა და მზვერავები მოქმედებენ. იალუტუროვის რაიონში მთელ ფრონტზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ მიდის, წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება მტერმა გვაიძულა დაგვეხია ტობოლის ზევით 20 ვერსზე. კურსკის გუბერნიაში დაიწყო დენიკინის საგმირო საქმეები. გამოჩნდა ძველი პოლიციელება, და იწყეს მკაცრი მოქმედება. პუტივლის მაზრაში დენიკინელებმა სცემეს ცემასრულ. კომიტეტის თავმჯდომარეს და უპარტიო გლეხს. აქვე შეაგროვეს 20,000 ფუთი პური და თან წაიყვანეს უსასყიდლოთ გლეხების ცხენების 23 ნაწილი. პირველ რიგში დენიკინელები ხვრეტენ მათ, ვისაც არჩეული ადგილები ეჭირათ სულ ერთია კომუნისტია ის თუ უპარტიო. მკაცრად ეპყრობიან ქარხნის მუშებს. ტყვე—წითელ ჯარისკაცებს აღრჩობენ. როსტოვში კავკავის რკინის გზის მუშების გაფიცვაა გამოცხადდა სამხედრო წესები—გაფიცულია რკინის-გზელი 400 ზე მეტი მუშა. შესწყდა მუშაობა ნავთსადგურებში და წისქვილებში. როსტოვ-ნოვოჩერკასის რკ. გზას ჯარი იცავს. მღელვარება იზრდება.

**პეტროგრადი** ოქტ. 5. ამხ. ზინოვიევი ამხ. ლენინს აუწყებს: გუშინ მესამე რაზმი გავგზავნეთ სამხრეთის ფრონტზე ყველა საუკეთესო მუშა წავიდა. ისეთი აღფრთოვანებით მიდიოდნენ თითქოს თეთრებთან ბრძოლის პირველი დღე ყოფილიყო. დღეს მეოთხე რაზმი მიდის. №-ის არმიის შტ. ბ. ოქტომბრის 3, თეთრგვარდიელთა გაზეთები იუწყებიან, რომ 5 ენკენისთვეს ღამით სადგურ გროზნაიაზე, რომლის ახლოს ნავთით და ბენზინით სავსე ქვაბებს ცეცხლი გაუჩნდა, დაიწვა რკინის გზის მრავალი ქონება. ცეცხლმა მთელს ღამეს გასტანა.

**მოსკოვი**, ოქტომ. 5. ჩრდილოეთის ფრონტზე ჩვენ შეტევას მტერი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. არხანგელის რკინის გზის მიმართულებით მტერი ზარბაზნების და ტანკების დახმარებით შეტევაზე გადმოვიდა და ჩვენი ჯარი რამდენიმედ შეავიწროვა. პავლოვსკიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 35 ვერსზე მტერმა ვერხნი მამონზე ენერგიულად შემოგვიტია, მაგრამ ბრძოლის შემდეგ უკუ ვაგდეთ. ურალსკის რაიონში მტერი გადავიდა ურალის ჩრდილოეთ ნაპირზე, ურალსკიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 25—35 ვერსზე და რამდენიმე სოფელი დაიჭირა.

**ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.**

საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთობა მნიშვნელოვანად უნდა განვითარდეს. ეხლა კონსერვატიული გაზეთებიც კი მომხრეა გერმანიასთან ურთიერთობის განახლებისა, რაც ხელსაყრელია საფრანგეთისთვის ეხლანდელ პირობებში. ამას წინად ფინანსთა მინისტრმა კლოტცმა პალატას მოხსენება წარუდგინა გერმანიასთან ვაჭრობის განახლების შესახებ. მან სთქვა, რომ საფრანგეთმა საქონელი უნდა შეისყიდოს აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც კურსი სასარგებლოა.

ჩრდილოეთ რუსეთში წითელი არმიის წინააღმდეგ შეტევას აწარმოებენ. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის ჯარზე დაიწყეს საერთო შეტევა... (დამახინჯებულია) მიმართულებით.

**გერმანული პრესის ცნობები.**

„დეილი-მელ" ი, პარიზის გამოცემა, ამტკიცებს, რომ ბერლინის ოფიციალურ წრეებში სიმართლეთ არ სთვლიან გერმანიისადმი ულტიმატუმს ბალტიის პროვინციების ევაკუაციის შესახებ. მოკავშირეთა მთავრობებს სხვა საშუალებაც აქვთ დარწმუნდნენ, რომ მათი საუწყებო ბრძანებები გერმანიის ჯარის მიერ აღნიშნულ ოლქების ევაკუაციის შესახებ გერმანიის მთავრობამ უკვე გასცა და ამ ჟამად ევაკუაცია უკვე დაწყებულია და დამოკიდებულია ტეხნიკურ პირობებზე, რომელთა პასუხისმგებლობას გერმანიის მთავრობა ვერ იკისრებს გერმანიის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს ჯარის წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად

„ფორვერტს"-ის სიტყვით პოლონეთის გამოჩენილმა სოც.-დემოკრატმა განაცხადა, რომ პოლონეთი რუსეთს ებრძვის ე. ი. ბოლოს და ბოლოს მის იმ ელემენტებს რომელნიც პოლონეთის წინააღმდეგ არიან.

# ახალი ამბები

დღეს, ნაძალადევის თეატრში, საღამოს 4 საათზე, დანიშნულია შეერთებული სხდომა I რაიონის კოლლექტივის, ყველა მცირე კოლექტივების და პროფესიონალურ კავშირების ფრაქციებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ **გენ. ჰარბორდის წარმომადგენელი შრომის სამინისტროში** 3 ოქტომბერს შრომის სამინისტროს ეწვია გენ. ჰარბორდის წარმომადგენელი, რომელმაც დაწვრილებით გაიცნო საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობა. პოლკოვნიკი ძლიერ დაინტერესდა სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხით, შრომის დაცვის ორგანოებით, კონფლიქტებით. აგრეთვე ის დაინტერესდა სამუშაო ქირის რაოდენობის დიაგრამებმა, ნამეტნავათ ყურადღება მიაქცია იმ დიაგრამას—რომელიც აჩვენებდა სიძვირის ზრდას 1914 წლიდან (77 ჯერ) და სამუშაო ქირის ზრდას ამავე ხანში (22-ჯერ). პოლკოვნიკმა სთხოვა ის ცნობები, რომელსაც მან ყურადღება მიაქცია, წერილობით გადასცენ მას. პოლკოვნიკმა გამოსთქვა თავის მწუხარება მუშათა კლასის გაჭირვებულ მდგომარეობის გამო და გამოსთქვა იმედი, რომ შესაძლებელია პურით ამერიკა დაგვეხმაროთ.

✦ **გენ. ჰარბორდი** გუშინ დილას ბაქოდან თფილისში დაბრუნდა. გენ. სადარბაზოდ იყო მთავრობასთან. საღამოს 5 საათზე მას აკაკი ხოშტარიამ გამოსათხოვარი ჩაი გაუმართა. საღამოს 8 საათზე გენერალი გაემგზავრა საჩქარო მატარებლით ბათუმში, საიდანაც წავა პარიზში.

✦ **საგარეო საქმეთა სამინისტროს** ბათუმიდან საქართველოს კონსული შემდეგს ატყობინებს: კვირას, ოქტომბრის 5 ს., 2 ს. და 30 წ., ბათომის სადგურის შენობაში სადგურის უფროსმა კონტროლიორმა შტაბს-კაპიტანმა რაევმა შეურაცხყოფა მიაყენა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ბათომში გაგზავნილ ბ. მასხარაშვილს. როცა ბ. მასხარაშვილმა პასუხი გასცა შეურაცხმყოფელს, უკანასკნელმა იძრო რევოლვერი და დასჭრა ხელში და მუცელში ბ. მასხარაშვილი. დაჭრილს პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინა სადგურის ექიმმა და შემდეგ ინგლისელებმა ავტომობილით წაიყვანეს ინგლისელ აფიცერთა ლაზარეთში. დაჭრილს იმ დღესვე ინახულა გენერ. გუბერნატორმა კუკოლისმა და ღრმა მწუხარება გამოუცხადა მომხდარ შემთხვევის გამო. საქართველოს კონსულის მოთხოვნით საქართველოდან იტალიაში მიმავალ დელეგაციის ვაგონს სადგურზე მიუყენეს მცველებათ ინგლისელები. დაჭრილის მდგომარეობა ჯერჯერობით შიშს არ იწვევს. ამ ამბავმა ძლიერ აალელვა ბათუმის ქართველი საზოგადოება.

✦ **მისასალმებელი დეპეშა.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა თელავიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თელავის სოციალ დემოკრატიული ყრილობა აღფრთოვანებულია რა თქვენი რევოლიუციონური და გმირული მოქმედებით, გიძღვნით გულ-წრფელ სალამს".

✦ **ყაჩაღ მშვიდობაძის მოკვლა.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ, რომ ლანჩხუთის რაიონის გვარდიელებს 5 ოქტომ. მოუკლავთ ყაჩაღთა ბრბოს ცნობილი მეთაური ნეს. მშვიდობაძე.

✦ **გენ. ბარათოვი.** 6 ოქტომბერს, ბაქოდან საგანგებოთ გამოწვეულ, ქირურგ პროფესორ-ოშმარის თანდასწრებით მუხაძემ გაუკეთა ოპერაცია. მას მარცხენა ფეხი მოსჭრეს, რაც გამოწვეული იყო ჭრილობაში სისხლის მოწამვლის გამო. გენერალი თავს ცუდათ გრძნობს

✦ **ქართ. სამუსიკო საზოგადოების სკოლა.** აუწერელ მდგომარეობაში იმყოფება ქართ. სამუსიკო სკოლა. მრავალი მოწაფე მოაწყდა, არსებობს კაპელა, რომელსაც რეპეტიციები ყოველდღე 5—7 ს. აქვს, დაარსდა ქართ. საოპერო სტუდია, რომელიც ზაფხულიდან მეცადინეობს, ორასზე მეტი მოწაფეა. ახალ მთხოვნელების რიცხვს არა აქვს საზღვარი და ამასთანავე სკოლას მხოლოდ ხუთი ოთახი აქვს. სკოლაში ყოვლად შეუძლებელია მეცადინეობა, უბინობის გამო.

✦ **ბოროტ მოქმედება.** სანაპირო რაზმის საწყობიდან მოიპარეს 100,000 მან. სხვადასხვა ნივთები. ამ საქმის გამოძიება მიენდო საგანგებო რაზმის პირად შემადგენლობის გამგეს ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე ჯაყელს. ჯაყელი მაშინვე გაემგზავრა რაზმის თანამშრომლებით იქ სადაც ამ ქურდობას ჰქონდა ადგილი და ეჭვით შეიპყრო სანაპირო რაზმის დარაჯი ჯ.-კ.—აგდაიანცი, შეყრილაძე, ნოდია, მელაძე, წიკლაური და ლილუაშვილი, რომელთა მორიგეობის დროსაც მოხდა ეს ქურდობა. შემდეგ მიღებულ ზომებით, ნაწილი დაკარგულ ნივთებისა აღმოჩენილ იქნა ნაძალადევში, ლორის ქუჩაზე, ოსმალეთის ქვეშევრდომ ლტოლვილ ეგორ გრიგორიანცის მაღაზიაში. მისსავე ბინაზე აღმოაჩინეს 1 ვინტოვკა. დატუსაღებულნი გადაეცა სამხედრო გამომძიებელს.

✦ **ფასების მომატებასთან საბრძოლველათ.** ქალაქის გამგეობამ საქონელზე ფასების მომატებასთან საბრძოლველათ გამოიმუშავა კანონ-პროექტი სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც დასამტკიცებლათ წარედგინება ქალაქის საბჭოს.

✦ **სომხეთის ლტოლვილები.** საქართველოში მყოფი სომხეთის სამზრუნველო სამინისტროს წარმომადგენელი ატყობინებს თავის რწმუნებულს ბათუმში, რათა მან მოახდინოს განკარგულება, რომ 1 ოქტომბრიდან შესწყდეს ბათუმში ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან წასულ სომეხ ლტოლვილთათვის პურის დარიგება

✦ **სკოლები ლტოლვილ სომეხთა ბავშვთათვის.** საქართველოში მყოფ სომხეთის სამზრუნველო სამინისტროს წარმომადგენლობას განზრახული აქვს გახსნას თფილისში ხუთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი ლტოლვილ სომეხ ბავშვთათვის. ამ სკოლების გამგებლობა გადაცემული აქვს დასავლეთ სომეხთა კავშირს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** მიმდინარე სამოსწავლო წელი გაიხსნა 5 ოქტ. მოხსენებები წაიკითხეს ქართულად რ. არსენიძემ, რუსულად მანდელშტამმა, სომხურათ აზატიანმა, თათრულად ტაგი ზადემ. შემდეგ გაიმართა კონცერტი. საღამოს დაესწრნენ მთავრობის, ქალაქის თვითმართველობის, ერობის, ქალაქთა კავშირის, პროფესიონალურ საბჭოების და სხვა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

✦ **პროფესიონალური კავშირების** საბჭო აცხადებს მუშათა ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ ქალაქის სასურსათო განყოფილებამ განაახლა პურის და სხვა სანოვაგის დარიგება კერძო ქარხნების და ზავოდების მუშები სათვის.

✦ **საღამოს სკოლა.** სახალხო უნივერსიტეტის დადგენილებით, 6 ოქტომბრიდან განახლდება მეცადინეობა საღამოს სკოლაში, სადაც ასწავლიან წერა კითხვას, როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილთ.

✦ **მომარაგების მთავარმა სამართველომ** მიიღო 40 ვაგონი პურის ფქვილი: ოცი ვაგონი ბათუმიდან და ოცი ბაქოდან. ფქვილს გაუნაწილებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

✦ **რედაქციამ მიიღო** „კოოპერატივის მოანგარიშე" (ნიმუშები კოოპერატივის ანგარიშების წარმოებისა). შედგენილი ინსტრუქტორ მ. ტოროშელიძის მიერ და „მომხმარებელთა კოოპერატივის წესდება" იმავე ავტორის ახსნა-განმარტებით. წიგნები გამოცემულია საქ. ცენტ. კოოპ. კავშირის მიერ მეტად სუფთად. პირველი წიგნი დიდი ფორმატისაა, შეიცავს 106 გვ. და ღირს 40 მ., მეორე—95 გვ.

✦ **გეოგრაფიული საზოგადოება.** საინიციატივო ჯგუფი იწვევს საშუალო და დაბალ სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებს და აგრეთვე გეოგრაფიასთან ახლო მდგომ პირებს გეოგრაფიულ საზოგადოების საორგანიზაციო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის სრულ 5 საათზე ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმში (მტკვრის სანაპირო, ვერის ხიდის მახლობლად).

✦ **ქურდობა** 5 ოქტომბერს სომეხთა ბაზარში ბოროტ-განზრახველებმა გასტეხეს ძმები არუთინოვის მაღაზიის კედელი და წაიღეს მაღაზიიდან რამოდენიმე მილიონ მანეთის ღირებული სხვა და სხვა საქონელი,

✦ **პირველ ქართულ კლუბში.** 5 ოქტომბერს შესდგა პირველ ქართულ კლუბის წევრთა და მამასახლისთა კრება, რომელმაც გადასდო თავის წლიურ შემოსავლიდან საშუალო სასწავლებლებში სტიპენდიების დასაარსებლათ 50,000 მან., აჭარელ ბავშვებისთვის—50,000 მან. და უადგილოდ დარჩენილ ოფიცერთათვის—25,000 მან.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, 5 საათ. ს. ს.-დ. მ. პარტიასთან არსებული მე-3-ე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია იწვევს წევრთა საზოგადო კრებას. წევრთა დასწრება აუცილებელია.

— სამშაბათს, 7 ოქტომბერს, საღამოს 6 ს., სომხური სექციის ბიუროს ბინაზე (რუსთაველის ქ. № 24) დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. 2 სამილიციო უბნის ქვე-კოლექტივის საზოგადო კრება. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ ამ კრებას.

### პროვინციის ქრონიკა

დ. ჩხარი (შორ. მაზრა). დ. ჩხარში, 26 სექტემბერს, ბოროტ-გმზრახველებმა ვერაგულად მოჰკლეს ლევან პ. კორტი. მკვლელები მაშინვე შეპყრობილ იქმნენ.

ქუთაისის მაზრის ერობამ, 29 სექტემბერს, დაამტკიცა ახალი გამოყოფილი ღანირ ჰაგნის საზოგადოება.

მარტვილის ვაჟთა გიმნაზიაში საჭიროა მასწავლებლები მათემატიკის, სიტყვიერების და უცხო ენების. მასწავლებელთ მიეცემათ გაორკეცებული ჯამაგირი, მსურველებმა მიმართონ საშუალო სკოლების მთავარ გამგეს (განათლების სამინისტრო)

# მუშათა წერილები

## ადმინისტრატორები და კავშირი

(რკინის გზელთა ცხოვრებიდან)

დღეს რკინის გზელთა შორის დიდი კამათია ამტყდარი.

დაობენ იმაზე—დარჩენ ადმინისტრატორები კავშირში, თუ გავიდენ კავშირიდან.

ამ საგნის შესახებ არა ერთი წერილი დაიბეჭდა რკინის გზის გაზეთებში.

ზოგი ჩვენი ამხანაგი გაუტაცნია იმ აზრს, რომ ადმინისტრატორები გაიდევნონ კავშირიდან. მე ჩემი აზრი ამ კითხვის შესახებ უკვე გამოვსთქვი ჩვენს რკინი გზის გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ეს საკითხი პარტიულ ორგანოშიც გაირჩეს.

საჭიროდ მიმაჩნია პარტიულმა ამხანაგებმა უფრო ფართედ მიიღონ აქ მონაწილეობა და გააშუქონ საქმე პარტიული თვალსაზრისით.

მართლა საჭირო და სასარგებლო იქნება საერთო მუშათა მოძრაობისათვის, რომ რკინიგზელების კავშირიდან გავაძევოთ ეგრედ წოდებული „ადმინისტრატორები"? ხოლო სანამ ამ კითხვას გადავწყვეტდეთ, უნდა ვიცოდეთ, ვინ არის „ადმინისტრატორი" რკინის-გზაზე.

ისე საზოგადოთ, კერძო ფაბრიკა ქარხანაში, რა თქმა უნდა ადმინისტრატორები კავშირში არ უნდა შევიდნენ.

აქ, ამ კერძო ქარხანაში, მასტერ დირექტორების მოვალეობაა, რაც შეიძლება ბევრი იმუშაოს მუშამ და ასე შემოსავალი გაადიდოს. ამ შემოსავლიდან მასაც კაი დიდი ლუკმა ერგება. ამიტომ აქ ერთის მხრით დგანან მშრომელნი, რომელნიც სიმდიდრეს ქმნიან; ხოლო მეორეს მხრით ოსტატ ზედამხედველები ესე იგი ხარხნის პატრონის მარჯვენი ხელი. ამ ორი ბანაკის ინტერესები სხვა და სხვაა და ამათი ერთ კავშირში მოთავსება სასურველი არაა.

მგელი და ცხვარი ერთად ვერ მოთავსდებიან. სულ სხვაა რკინი გზაზე... აქ „ადმინისტრატორი" იმ სახით, როგორიც არის კერძო დაწესებულებაში, არ არსებობს. აქ არ იცი, სად თავდება მუშა და სად იწყება ადმინისტრატორი.

აი ავიღოთ უფროსი მეისრე.

ის თავის ალაგას „ადმინისტრატორია". მას დიდ სადგურებზე ოცზე მეტი ხელქვეითი ყავს.

ასეა გზის ოსტატი და მისი თანაშემწე.

ასეა სადგურის უფროსი და მისი თანაშემწე, მემანქანე, ობერ კონდუქტორი (უფროსი მემუხრუჭე) და სხვა.

თვით დეპო-სახელოსნოშიც კი სხვა და სხვა საფეხურებია და ერთი მუშა მეორეზე ასე თუ ისე დამოკიდებულია—ასე რომ, აქაც ერთი ადმინისტრატორის მოვალეობაში გამოდის.

ამიტომ, რკინის გზაზე ადმინისტრატორი არ არსებობს.

აქ არის საქმის ასრულების სხვადასხვა დარგათ (ფუნქციებათ) დაყოფა. ყველა ამ ფუნქციების ასრულებელნი ერთის აზრით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი—რომ რკინის გზამ იმუშაოს კარგათ, სწორად და დემოკრატიულ სახელმწიფოს მეტი შემოსავალი მისცეს.

რკინი-გზა კერძო დაწესებულება არაა.

ის დღეს არც მონარქიულ სახელმწიფოს ეკუთვნის

ის დღეს ხალხისაა. ის თვით რკინის გზელებისაა.

რკინის გზის უფროსის მოვალეობა დღეს განა იმაშია, რომ რაც შეიძლება მუშა გაყვლიფოს, გაატყავოს და ამით გზის შემოსავალი ასწიოს, გაადიდოს. არა და არა!

ამის ნებას მას არც ჩვენი დემოკრატიული მთავრობა მისცემს.

დღეს ჩვენ ისეთ წესწყობილებაში ვცხოვრობთ, საცა ჯამაგირების საკითხს სწყვეტამს სულ სხვა დაწესებულება, მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

აქედან, აშკარაა, რკინის გზის ადმინისტრაციას სულ სხვა დანიშნულება აქვს დაკისრებული.

ეს დანიშნულება, როგორც ზემოთ ვსთქვით, ყველასათვის ერთია—ეს საერთოდ წესრიგის დაცვა გზაზე.

ხოლო აქ ერთი თვალყურს ადევნებს, რომ საქმე არ გაფუჭდეს. აი ისე, როგორც ორგანიზაციებში უფრო გამოცდილნი ხელმძღვანელობენ ნაკლებათ გამოცდილებს.

ამ პირობებში გამოდიან ზოგიერთი ამხანაგები და გაიძახიან: გავაძეოთ სადგურის უფროსები, გზის ოსტატები, ობერ კონდუქტორები და სხვანი, კავშირიდანო. ჩემის აზრით, ეს ყოვლად დაუშვებელია. რკინის გზის კავშირში ყველა რკინის გზელი უნდა იყოს.

ამხანაგები შეუშინებია იმ გარემოებას, რომ დღეს გზაზე ორი მთავრობა შეგვრჩა ხელშიო.

ერთი ნამდვილი მთავრობა და მეორე ორგანიზაციებიო.

ამ ამხანაგებს ჰკონიათ, რომ თუ ადმინისტრატორები გავაძევეთ კავშირიდან ეს აღარ იქნებაო. ამხანაგები, რომელნიც ასე ფიქრობენ, დიდათ სცდებიან.

ეს ორ მთავრობობა იმის ბრალი როდია, რომ კავშირში ადმინისტრატორებია. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ კიდევ ვერ მოვიშორეთ რევოლიუციის დანგრევითი ხანა.

ჩვენ კიდევ ვერ შევიგნეთ, რომ სახელმწიფო უკვე აღმშენებლობითი მუშაობას შეუდგა.

კავშირის მოვალეობა ადმინისტრატორობა როდია.

კავშირის მოვალეობაა იზრუნოს თავის წევრთა ეკონომიურ გაუმჯობესობაზე, სასურსათო საქმეებზე, სწავლა-განათლების, საექიმო და სხვა ასეთ საგნებზე.

**ჩვენი კავშირები კი დღეს დიდ დროს ანდომებენ იმ საკითხის გადაჭრას, თუ ვინ მიიღონ სამსახურში და ვინ გაუშონ.**

თუმცა ჩვენმა უკანასკნელმა ყრილობამ დაადგინა, არ ჩავერიოთ ადმინისტრატიულ საქმეებშიო, მაგრამ ეს დადგენილება დარჩა მხოლოდ ქაღალდზე. ამნაირად, ეს ორი მთავრობობა კიდევ ხელში შეგვრჩა და ეს საქმეს მართლაც აბრკოლებს.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადაწყდეს, რომ კავშირებმა აწარმოონ მხოლოდ ეკონომიური საკითხები და ადმინისტრატიულ ნაწილს ჩამოშორდნენ. ყოველ შემთხვევაში, რა შუაშია ადმინისტრატორების კავშირიდან გაძევება? პროფესიონალური კავშირები არიან უპარტიონი.

ჩვენ, სოციალდემოკრატებმა, დიდი ბრძოლა გამოვიარეთ ამ საკითხების გამო ბოლშევიკებთან, რომელნიც მომხრე იყვნენ პარტიული კავშირებისა. ჩვენ კი კავშირების მიზანს ეკონომიური საკითხების გაძღოლაში ვხედავთ.

ჩვენ ვიწვევდით და ახლაც ვიწვევთ ამ კავშირებში შეგნებულ ამხანაგებს სამუშაოთ.

ეს ასეც უნდა დარჩეს.

ჩვენი რკინის გზელების კავშირში, ყველა პარტიის ხალხია, თუმცა დიდი უმრავლესობა სოციალდემოკრატია. ჩვენ კავშირიდან ვერ გავყრით სხვა პარტიის მომხრეებს.

ეს არც სასურველია.

ჩვენ რომ ახლა ეგრედ წოდებული „ადმინისტრატორები" გავაძევოთ კავშირიდან, ამით ჩვენ კავშირს მოვაკლებთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, რკინის გზის ინტელიგენციას.

მოვაკლებთ კავშირს საუკეთესო მუშაკებს სასურსათო, სამოსწავლო, საექიმო, თუ სხვა ნაწილებში ეს ჩამოთვლილი ნაწილები ხომ ყველასათვის საჭირო და საზრუნავია. ვთქვათ, გავაძევეთ კავშირიდან ეს ადმინისტრატორები, დარჩა კავშირი ნამდვილი „პროლეტარული". შიგ აღარ არიან სადგურის უფროსები და მათი თანაშემწენი, შიგ აღარ არიან გზის ოსტატები და ობერ კონდუქტორები. ახლა ამ ნამდვილმა „პროლეტარულმა" კავშირმა უნდა აწარმოოს სასურსათო საქმეები. უნდა გახსნას სკოლები და სხვა. რას უშვრები ახლა ამ საწყალ, თქვენსავით ღატაკ «ადმინისტრატორებს?» აძლევთ მათ სურსათს, თუ არა? იღებთ მათ შვილებს სკოლებში, თუ არა? მე დარწმუნებული ვარ, არავინ არ იტყვის—არაო! მაშ რით უკარგავთ კავშირს ამ გარიყულ ადმინისტრატორების საწევრო ფულს? რათ უკარგავთ კავშირს აუარებელ მუშა ხელს?.

არა! აქ რაღაც გაუგებრობაა.

ს. დოლიძე

(დასასრული იქნება)

# ბრძანება

**საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.**

17 სექტემბერი, 1919 წ. ქ. თფილისი.

**№ 200.**

1. საქართველოს რესპუბლიკის ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად ვნიშნავ განსაკუთრებულ მინდობილობის შტაბ-აფიცერს პოლკოვნიკ **ართმელაძეს** და მასვე უქვემდებარებ სამინისტროსთან არსებულ კულტურულ განმანათლებელ სექციას.

2. რათა მან, საჭიროებისამებრ, შესძლოს დაუბრკოლებლად გარნიზონის სხვადასხვა ნაწილებში მიმოსვლა და აგრეთვე სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საჭირო კავშირის დაჭერა, მიეცეს მას მოთხოვნილებისამებრ ავტომობილი.

3. რკინის გზაზე მიმოსვლის გასაადვილებლათ — უბრძანებ გენერალურ შტაბის უფროსს, რათა მან აღმოუჩინოს ამ მხრით პოლკოვნიკ **ართმელაძეს** ყოველგვარი დახმარება.

4. პოლკოვნიკ **ართმელაძეს**, როგორც მთავარ ხელმძღვანელს ჯარში კულტურულ განმანათლებელი მუშაობისას, მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში, ნება ეძლევა მიმართოს პრესას, საზოგადოებებს და დაწესებულებებს სხვადასხვა ხასიათის დახმარებისათვის.

5. უბრძანებ ნაწილების უფროსებს—განუმარტონ აფიცრობას, თუ რანაირი შეთანხმებული მუშაობაა საჭირო და რანაირათ უნდა გატარდეს ესა თუ ის საჭირო ბრძანება, ანუ განკარგულება ცხოვრებაში.

6. უბრძანებ ათასეულების უფროსებს, ეხლავე შეუდგნენ გუნდებში საგუნდო სკოლების მოწყობას, სადაც ყველამ, წერა-კითხვის უცოდინარმა, უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა და ანგარიში. მოიმარაგოთ ჯარისკაცთა უნივერსიტეტის საათასეულო სკოლისა და სამკითხველოს მოსაწყობათ ბინები და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ—ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ნაყოფიერათ წარმართვის საქმეებში—მთავარ ხელმძღვანელს პოლკოვნიკ **ართმელაძეს**.

7. სამხედრო სამინისტროსთან არსებულ კულტურულ განმანათლებელ სექციას შესაფერი ბინა დაეთმოს სამხედრო სამინისტროს შენობაში და მოწყობილ იქნას იგი ტელეფონით და სხვა აუცილებელი აღჭურვილობით. დაინიშნოს სექციის კანცელარიაში ერთი შიკრიკი სადარაჯო ათასეულიდან.

სამხედრო მინისტრი **გ. ლომთათიძე** [?]

# თფილისის „შევარდენი" ქუთაისში

კვირა, ღვინობისთვის 5, ქუთაისში თითქმის მთლიანად შევარდენთა დღეთ გადაიქცა.

შევარდენთა შესახვედრად დილის 10 საათზე პირველ სავაჟო გიმნაზიიდან დაიძრნენ მოწაფეები მწყობრად დარაზმული სამხედრო მუსიკით. შეხვედრის და ურთ-ერთ მისალმების შემდეგ შევარდნები პირველ გიმნაზიისაკენ გაემართნენ. აქ მათ უჩვენეს ქუთაისს მრავალი სხვა და სხვა ისეთი ვარჯიშობანი, რაც ჯერ აქ არ იყო ნახული. შესანიშნავი იყო ქალთა ვარჯიშობა საწვდომ ორძელზე.

ნაჩვენები იყო სხვა და სხვა სახის ატლეტური ნომრებიც და ინგლისური კრივიც. ბოლოს მთელი ეს მოძრაობა დასრულდა ქალ ვაჟთა საერთო ვარჯიშით „საქართველოს ვარსკვლავი". ვარჯიში მეტად კარგად იყო შესწავლილი და ნაჩვენები, მიუხედავად იმისა, რომ ერთ ალაგას ორკესტრმა შეუშალა ხელი. მის გამომგონს გ. ეგნატაშვილს მეტად დიდი შრომა და უნარი გამოუჩენია, რომ ასეთი ყოველ მხრივ რთული ვარჯიში ასე მშვენივრად ჩატარდა. გამოსვლას ხალხი მრავლად დაესწრო, და დიდად ნასიამოვნები დარჩა. ამავე საღამოს ქუთაისში დაარსდა ქუთაისის „შევარდენი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მოვარჯიშე დ. ჯავრიშვილი.

# ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 2 ოქტომბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ა. რუხაძე. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა გასული კრების ოქმი. კრებამ მოისმინა კომიტეტის წარმომადგენელის ამხ. მ. ტოროშელიძისა და ქვე-კოლექტივების წარმომადგენლების მოხსენებები, მიიღო მხედველობაში და გადავიდა შემდეგ კითხვებზე.

საფინანსო კომისიის წევრი უდგენს კრებას 28 სექტემბერს გამართულ საღამოს შემოსავალ-გასავლის ანგარიშს; შემოსულა 4095 მან., ხარჯები ყოფილა 1725 მ.ნ. დარჩენილა კასის გასაძლიერებლათ 2370 მ. კრება წარმოდგენილ ანგარიშს ადასტურებს. მუშათა კლუბის წინადადებაზე, რომ მეორე რაიონმა აიღოს იჯარით პროფ. საბჭოს კუთვნილი საზაფხულო შენობა პლეხანოვის ქუჩაზე, კრება ადგენს მიეცეს თფილისის კომიტეტს წინადადება, რათა ამ უკანასკნელმა აიღოს ეს შენობა პარტიულ კლუბის გასამართავად, კოლექტივის მდივნის განცხადებას, რომ საჭიროა კოლექტივს მდივანთან ერთად ყავდეს საქმის მწარმოებელიც, კრება პრინციპიალურად ღებულობს, და საქმის მწარმოებლის დაქირავების შესახებ საკითხს ჯერ-ჯერობით ღიათ სტოვებს კოლექტივის დადგენილებით კოლექ. მდივანს თვიური ჯამაგირი დაენიშნა 2000 მან. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თხოვნა—მიეცეს მათ კოლექტივის ბინაზე საშუალება სამეცადინო წრის და აგრეთვე კანცელარიის მოწყობისა—კოლექტივის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა.

თედ. ხუხუნაიშვილი.

——

**თფილისი.** 3 ოქტომბერს თფილისის საქონლის სადგურში ადგილობრივ პარტიულ დარბაზში შესდგა პარტიის ახალი არჩეული ხელმძღვანელების პირველი სხდომა. სხდომას დაესწრო ხელმძღვანელები თითქმის უკლებლივ დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: 1) პრეზიდიუმის არჩევნები; 2) პარტიული დისციპლინა; 3) რეგისტრაცია პარტიის წევრების, ანგარიშები და სხვ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ნოე ჯიბლაძე, მუდმივ მდივნად პროკოფი ინწკირველი, თავმჯდომარის ამხანაგად იაგორ ასათიანი [?]. კრებების დღეთ დანიშნულია შაბათი, საღამოს 5 ს. დაადგინეს აწარმოონ თვიური წიგნი, სადაც იქნება აღნიშნული, რომელი წევრი დაესწრო და ან ვინ არ დაესწრო, ან-და რა მიზეზით არ დაესწრო. რეგისტრაციისათვის კრებამ სასურველად სცნო პარტიული წიგნაკები იქნეს გადასინჯული პრეზიდიუმის მიერ და ყოველივე ზომა მიიღონ შეცდომების გასასწორებლად.

**სადგურის ორგანიზაცია.** [?]

**თფილისი.** 27 სექტემბერს [illegible] ერობის [illegible] დემ. თფილისის მაზრის კომიტეტის მესამე ყრილობა. თავმჯდომარეობდა ვლ. კაკაბაძე, მდივნობდა ლ. ორაგველიძე. კრების გახსნისას კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით მოკლე სიტყვით კრებას მიესალმა ამხ. კაკაბაძე. კრება კანონიერათ იქნა აღიარებული. დღიური წესრიგი შემდეგი იყო: 1) საერთო მოხსენება, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) პარტიული მუშაობა მაზრაში, 3) ერობაში მომუშავე ამხანაგების შესახებ, 5) მომავალი კონფერენცია. საერთო მოხსენება გააკეთა ამხ. გ. კილასონიამ. ის აღნიშნავს მრავალ დეფექტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაზრაში მუშაობის დროს. ეხება ამის გამომწვევ მიზეზებს. უსახსრობის გამო, ამბობს ის, ჩვენ ვერ შევძელით მაზრაში იდეიურ მუშაობის გაჩაღება, არ გვყავდა საკუთარი პროპაგანდისტები, დროებით კი ვსარგებლობდით ცენტ. კომიტეტის პროპაგანდისტებით, რომელნიც მაზრაში მუშაობდნენ. პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა მძიმე მუშაობაში იყო ჩაბმული. შემდეგ მომხსენებელი ეხება მეორე კომ. ყრილობის დადგენილებებს, რომელნიც სამწუხაროთ სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. შემდეგ ის აღნიშნავს შემოსავალ - გასავალს და დასკვნის, რომ ასეთ პირობებში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყოო. კანჯარაშვილი ამბობს, რომ ამ ფულებითაც მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ეხება კომიტეტის დანიშნულებას საერთოდ და პრეზიდიუმს ბრალს სდებს უმოქმედობაში. ბოკერია ემხრობა კომიტეტის პრეზიდიუმს და ამბობს, რომ უფულო და უკაცო პრეზიდიუმმა ისეც მეტის გაკეთება შესძლოო. კამათის შემდეგ ორი ხმის წინააღმდეგ მიიღეს პრეზიდიუმის შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება პრეზიდიუმის წევრ ამხ. კილასონიასი პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ, კომიტეტი ადასტურებს მას და გადადის მორიგ კითხვაზე". შემდეგ იწყება მოხსენებები ადგილებიდან. კახაბრიშვილი (ნორიო) აღნიშნავს დიდ არა ნორმალურ პირობებს, რომელიც ადგილობრივ შეიქნა. ამხანაგები უმრავლესობა ფრონტზე არიან, ვინც დავრჩით; დატვირთული ვართ საერობო მუშაობით. ორგანიზაცია სუსტია და აუცილებლივ საჭიროა ზომები მის გასაძლიერებლად. კანჯარაშვილი (გიორგი წმინდა), ჩვენი ორგანიზაცია შედარებით უკეთეს პირობებშია, მაგრამ მუშაობა ჩვენთანაც სუსტია, საქმე ვერ მიდის კარგათ. ამას სხვადასხვა მიზეზებით ხსნის. საწევრო გადასახადები სისტემატიურად არ შემოდის, არ სწარმოებს სისტემატიური მუშაობა. სამსონია (ავჭალა) აღნიშნავს, რომ ჩვენთან მუშაობა სისტემატიურია, გვყავს ხელმძღვანელი კოლექ., ას რომელში წევრზე მეტი ირიცხება. მოვაწყვეთ ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი გვარდია. საწევრო გადასახადებს იხდიან. აუცილებელია საწევრო ბარათებიო იმედს გამოსთქვამს, უფრო კარგად მოეწყობა მუშაობაო. ჯილაური (პატარძეული) აღნიშნავს, რომ პირველ ხანებში მუშაობა ვერ იყო სასურველ ნიადაგზე. ეხლა კი უფრო თანდათან საქმე სწორდება გვყავს ასი წევრი, საწევრო გადასახადები შემოაქვთ. გენებაშვილი (დიღომი). დიღომში საქმე თანდათან წინ მიდის. პირველ დაარსებისას გვყავდა ორმოცი წევრი, ეხლა 90 აღემატება. ჩვენი პარტიის პრესტიჟი მასაში ძლიერია. საწევრო გადასახადებს სისტემატიურად იხდიან. საჭიროა მუშაობის უფრო გაცხოველება და პარტ. საწევრო ბარათებიო. ფურცელაძე (მარტყოფი). მუშაობა სუსტი გვაქვს, ძლიერ დატვირთული ვართ საერობო სათემო მუშაობით. ადგილობრივმა თემის გამგეობამ ნდობა დაკარგა. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „გაეცნო რა კომიტეტი მოხსენებებს ადგილებიდან, სცნო რა, რომ ყველა ის ანარქიული გამოსვლები, რომელთაც ადგილი აქვს სოფლად, გამოწვეულია ადგილობრივ ორგანიზაციათა სისუსტით, დაადგინა: მიღებულ იქნეს ფიცხელი ზომები ორგანიზაციათა აღსადგენათ, ვინაიდან მხოლოდ ორგანიზაციას შეუძლია იბრძოლოს ყოველგვარ არა ნორმალობას, მოხდეს ის გვარდიაში, თემში, ადმინისტრაციაში თუ სხვაგან. მხოლოდ კერძოთ მარტყოფის გვარდიის საქმის გამორკვევა დაევალოს პრეზიდიუმს".

მაზრაში პარტიული მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ა. ქვათაძე. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება მაზრაში მუშაობის შესახებ, კომიტეტი სავსებით იზიარებს მომხსენებლის დებულებებს და ადასტურებს მას ამასთანავე კომიტეტი მოუწოდებს მაზრის ყველა ორგანიზაციებს და ამხანაგებს: 1) გააძლიერონ ორგანიზაციული მუშაობა პარტიაში და გვარდიაში და ხელი შეუწყონ ერობის მუშაობას მაზრაში, 2) ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყონ ლექციები, მიტინგები და ამის შესახებ აცნობონ პრეზიდიუმს, რომელიც გაუგზავნის მოწინავე ამხანაგებს (დამფუძნებელი კრების წევრებს, პროპაგანდისტებს და სხვას), 3) მოუწოდებთ ამხანაგებს მტკიცეთ შეასრულონ პარტიული წესდება, კომიტეტი გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ადგილობრივი ამხანაგები მტკიცეთ შეასრულებენ კომიტეტის დადგენილებებს“.

ერობაში მომუშავე ამხანაგების შესახებ მოხსენებას აკეთებს ვლ. კაკაბაძე. სჯა ბაასის შემდეგ ირკვევა, რომ საერთოდ ამხანაგები უკმაყოფილო არიან ერობის გამგეობის მოქმედებით და რომ მუშაობა უფრო გადახალისდეს და გაძლიერდეს, კომიტეტი ადგენს: მოხდეს გამგეობის რეორგანიზაცია და ამის შესახებ ეცნობოს ერობის ხმოსანთა ფრაქციას და ცენტრალურ კომიტეტის დასტურით გამომუშავებულ იქნეს ახალი კანდიდატები. მომავალ პარტიულ ყრილობაზე დასაწრებ დელეგატების გამოსამუშავებლად არჩეულ იქნეს კომისია, რომელიც ამოირჩევს შედარებით უფრო მომზადებულ კანდიდატებს. არჩეულ იქნენ: კაკაბაძე, კანჯარაშვილი, ბოკერია, ჯილაური, კახაბრიშვილი. რის შემდეგ თავმჯდომარე კაკაბაძე უკანასკნელ სიტყვით მიმართავს კრებას და მოუწოდებს მტკიცეთ და შეურყევლად მოაწყონ მუშაობა, გააბან უფრო მჭიდრო კავშირი კომიტეტის პრეზიდიუმთან, რაც უფრო საშვალებას მოგვცემს ერთმანეთს დაუახლოვდეთ და გავაჩაღოთ უფრო მეტის ენერგიით იდეური მუშაობა.

მდივანი ლ. ორაგველიძე.

# მუშათა შორის

**რკინის გზის რაიონი.**

3 ოქტომბერს ნაძალადევის თეატრში მოხდა შეერთებული კრება რკინის გზის თფილისის სადგურის ყველა ორგანიზაციებისა. უმთავრესი საკითხი კავშირიდან „ადმინისტრატორების“ განდევნა იყო. მოხსენებას აკეთებს ამხ. ძამანაშვილი. ის ამბობს: არის სამი რიგი ადმინისტრატორებისა. პირველში შედიან: გზის უფროსი და მისი თანაშემწეები, დარგის უფროსები, მათი თანაშემწეები, სახელოსნოს, დეპოს და სხვა დიდი მოხელენი. მეორეს ეკუთვნიან სადგურის უფროსები და მათი თანაშემწენი, გზის ოსტატები, კონტორის სხვა და სხვა მოხელენი. მესამეს ობერ კონდუქტორები, უფროსი მეისრეები, ბრიგადირები, უფროსი მუშები და ასე, იგივე მუშები, მხოლოდ რამდენიმედ ადმინისტრაციის ფუნქციის ალმასრულებელნი. აი ამ სამ ჯგუფიდან ორის შესახებ მაღალი და დაბალი—შეთანხმება უკვე მოხდა ცენტრსა და სამინისტროს შორის. პირველი ირიცხება კავშირიდან, ხოლო მეორე, დაბალი ადმინისტრაცია, დროებით რჩება კავშირში. საშუალო ადმინისტრაციის შესახებ შეთანხმება არ მოხდა, ალბათ ეს გადაწყდება მომავალ ყრილობაზეო.

გაიხსნა კამათი. ჩაეწერა ოცდა ოთხზე მეტი ამხანაგი. ლაპარაკი მოასწრო ათიოდე ამხანაგმა. უმრავლესობა მოლაპარაკეთა შორის ადმინისტრატორებს ცუდის თვალით უყურებს. მათ მძარცველებს, მყლეფელებს ეძახის. მათ კავშირიდან განდევნას მოითხოვს. თვით დაბალი ადმინისტრატორებიც გავყაროთ კავშირიდანო. ათ ორატორში სამმა ადმინისტრატორების კავშირში დატოვების სასარგებლოთ ილაპარაკა. ამ მოსაზრებას ასაბუთებდენ იმით, რომ ჯერ კიდევ საჭიროა ერთი მთლიანი რკინის გზელების კავშირი. ბევრი საერთოა მუშებსა და ეგრედ წოდებულ ადმინისტრატორებ შორის.

დაბალი და საშუალო ადმინისტრაცია მაინც დავსტოვოთ კავშირშიო. საკითხი კიდევ ღიად დარჩა.

ამავე კრებაზე დაისვა საკითხი მომავალ ყრილობაზე დელეგატების არჩევის წესრიგის შესახებ და გადაწყდა, არჩეულ იქმნას დელეგატები პროპორციის მიხედვით, 200 წევრზე ერთი დელეგატი ყველა რაიონებში. სია შემუშავდეს ადგილობრივათ ქვევიდან. მაღლიდან არავითარი ზეგავლენა არ უნდა მოხდეს. რაიონებმა დელეგატებათ გამოგზავნონ ისინი, ვისაც საჭიროდ დაინახავენ. პარტიული ამხანაგები უნდა ეცადნენ კარგი და ენერგიული ამხანაგები აირჩიონ. სულ გზა იქნება გაყოფილი ათ რაიონად.

დამსწრე

## წმ. ნინოს უბანი

წმ. ნინოს უბანში არსებობს საუბნო სამოქალაქო კომიტეტი, რომელსაც არა ერთხელ მიუმართავს თფილისის თვითმართველობისათვის შესახებ იმისა, რომ ამ უბანში, ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს, არის დადგმული „გალკინის“ სისტემის ფარნები რიცხვით 14, რომლებიც ძველ რეჟიმში ინთებოდა, მაგრამ რაღაცა მიზეზებით, აგერ, ორი სამი წელიწადია, ქალაქის თვითმართველობა აღარ ანთებს, მიუხედავათ არა ერთის თხოვნისა ამავე უბნის სამოქალაქო კომიტეტის მიერ ქ. თვითმართველობისადმი, რომ ან აგვინთონ არსებული ფარნები, ან გამოგვიყვანონ ელექტრონის განათება, სიტყვა ჩვენი რჩება ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. თფილისის საბჭოს ს. დ ფრაქციას გაუგზავნეთ ასლი ჩვენი მოთხოვნილებისა, რის შემდეგაც მივიღეთ პასუხი წერილობით ზ. ინკ ჩირგაძის ხელმოწერილი, რომ ერთობის უბანში განათების სამუშაოს მოათავებენ თუ არა, შეუდგებოდენ ჩვენთან მუშაობას, მაგრამ ერთობის უბანი უკვე განათეს აგერ ორ თვეზე მეტია. ჩვენ კი ჯოჯოხეთურის სიბნელეში ვართ და ყოველს წუთს ველით ნაძირალების გაცარცვას, თუ რვა საათის შემდეგ მოგვიხდა ქალაქიდან დაბრუნება სახლში. დროა საზღვარი დაუდონ ჩვენს წამებას.

დ. თევდორაშვილი.

# პროვინცია

**ქობულეთი.** არსად არ მოიპოვება ჩვენ ქვეყანაში ისეთი კუთხე, რომ დღეს სწავლა-განათლების საკითხს არ ქონდეს ყურადღება მიქცეული და არ ზრუნავდენ მის ხალხში გავრცელებაზე. ჩვენში ტარდება საყოველთაო სწავლა, მაგრამ საუბედუროთ ეს კუთხე დღეს დიდათ ჩამორჩენილია. დღეს თუ მოიპოვება თითო ოროლა სკოლები, ისიც დაბებში და რუსულად მეცადინობაა. თქვენ გაივლით რამოდენიმე სოფლებს სამუსულმანო საქართველოისას და ვერსად სკოლებს ვერ შეხვდებით, გარდა იმისა, რაც მოასწრო ქართულმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ დაეარსებინა 1916 წ. არსენ წითლიძის წყალობით საქმეც მშვენივრათ მიდიოდა აუარებელი ბავშვები, ესეც რომ არ ყოფილიყო, მოზდილების მეცადინობა საღამოობით და სხვა, რითაც დიდი შეგნება და განვითარება შედიოდა ხალხში. პედ. არსენ წითლიძე დღესაც ზრუნავს და დაეძებს ღირსეულ მასწავლებლებს ამ სკოლებისთვის, რომელიც დროებით შეჩერებულია და სწავლა შეწყვეტილი. სასურველია გამოცდილი მასწავლებლები არ იტყოდენ უარს და მოვიდოდენ ამ მხარეში. სამუსულმანო საქართველოს გამანთავისუფლებელმა კომიტეტმა მთავარი ყურადღება ამას უნდა მიაქციოს. სადაც არ არსებობს სკოლა შევიდენ და გახსნან, სადაც არის ეხლავე გააჩაღონ მეცადინობა. ნუ იქნება მრავალი რიცხვი მოსწავლეებისა, მცირედი იყოს ჯერ. ამასთანავე არის სურვილი ქართულ მასწავლებელთან ერთად, თათრულის მცოდნე მასწავლებლებიც მოვიწვიოთ.

დ. ქობულეთში არსებობს პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიაც სწავლა რუსულ ენაზე არის შემოღებული, იმ დროს როდესაც მოწაფეთა რიცხვის უმეტესობას ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანების შვილები და აქ მცხოვრებნი ქართველი ქრისტიანების შვილები არიან. ამას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც თვით სასწავლებელიც დაცარიელებულია ამის გამო. 8 მასწავლებელს 40 მოწაფე ჰყავთ. რომ ვიანგარიშოთ, თითოზე ხუთი მოწაფე მოდის იმ დროს, როდესაც ქართულათ იყო სწავლა, მოწაფეთა რიცხვიც საკმაო იყო. ამიტომ ეხლავე უნდა იქნეს შუამდგომლობა აღძრული ინგლისის მთავრობასთან და მოვთხოვოთ სწავლა ქართულ ენაზე იქნეს შემოღებული. ამასთან კარგი იქნება ჩვენი მთავრობაც თუ იზრუნებს და რამოდენიმე ახალგაზრდებს წამოიყვანდეს და მისცემდეს სპეციალურ დარგის ცოდნას. მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც გაუთავებიათ ნორმალური სასწავლებელი და შემდეგ აღარ აქვთ საშუალება სწავლის გაგრძელების. დღეს ისინი მეტისმეტად საჭიროებენ სწავლის გაგრძელებას.

ქობულეთელი.

—

**მუხრანი (დუშეთის მაზრა).** თითქმის ყოველ კვირაში, გაზეთებში იწერება სხვა და სხვა კუთხეებიდან სახალხო სკოლის მასწავლებელთა გაჭირვებულ მდგომარეობაზედ, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის არც ერთ მაზრაში ისე არ არის სწავლა აღზრდის საქმე მიტოვებული, როგორც დუშეთის მაზრაში. ერთ დროს ყოფილა თითქმის ყოველ სოფელში სკოლა გაჩაღებული, მაგრამ ეხლა წარმოადგენს აჩრდილს სკოლისას, დანგრეულს და გაპარტახებულს. სკოლების ბედი ერობის ხელშია გადასული, მაგრამ რა ქნას იმ ერობამ, რომელსაც არაფერი აქვს. „ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო“, ნათქვამია. ხალხი ძლიერ შეეჩვია გადასახადის გადაუხდელობას, კეცავს და კეცავს ყუთში ფულებს, ნურაფერს გადაახდევინებ და სკოლის სახელს მის დღეში არ ახსენებს. მთელს მაზრაში შეიძლება ორი ან სამი ძველი გამოცდილი მასწავლებელი მოიპოვებოდეს, რომლებიც დღეს თუ ხვალ დატოვებს სამსახურს და სხვა გზას მონახავს, ვინაიდან სიმშილით მოკაკული დადის, აბა მითხარით, რას უზამს 800 მანეთი, რომელსაც ეხლა აძლევენ, და დღემდის კი ღებულობდნენ 500—600 მანეთამდის, უკანასკნელი დარაჯი ღებულობს ათასს მანეთამდის; და სოფლის მასწავლებელი, რომელზედაც დამყარებულია, როგორც სკოლაში, ისე თვით ხალხში სინათლის გაშუქება, შიმშილით უნდა კვდებოდეს? ასე არ უნდა დაფასებული ყო 1904 წლიდან დამოკიდებული სახალხო სკოლის მასწავლებლების ღვაწლი. მაზრაში არ არსებობს მასწავლებელთა კავშირი, ვინაიდან კარგი მასწავლებლები გაურბიან სკოლას, და ზოგმა კი არც იციან კავშირის მნიშვნელობა. ასეთი მასწავლებლების აღზრდილი ბავშვები არ შეეფერება თავისუფალ ქვეყნის დემოკრატიას, რომელიც დღითი დღე მიისწრაფვის წინმსვლელობისაკენ. საჭიროა, შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ, თვით ხალხში აგიტაციის საშუალებით დაეხმაროს მასწავლებლებს, რომ ხალხმა გაუწოდოს მას მოწყალების ხელი, თორემ ამა წლის ბოლომდის სკოლები დაცალიერდებიან გამოცდილი მასწავლებლებიდან, და დიდძალი ბავშვები სამოსწავლო ასაკისა დარჩებიან ღვთის ანაბარათ. მუხრანი საქართველოს თვალია, მაგრამ 600 კომლ მცხოვრებლებს ერთი ორ კლასიანი სკოლა ვერ დაუყენებია თავის სიმაღლეზედ. მიზეზი ამისა ყოფილი სკოლის გამგე ონიაშვილი ყოფილა, რომელიც თურმე ქალაღდის თამაშობას და „ბახუსს“ სცემდა თაყვანს. სათემო მართვა გამგეობაც მუხრანში არ არის კარგს პირობებში. ადგილობრივ ხმოსანთა მცხოვრებლებში არ მოიპოვება ისეთი პირი, რომ თავმჯდომარეობა შეეძლოს, და თუ სხვა მაზრიდან ვინმე დაინიშნა, ფედერალისტების პროვოკაციას დიდი გასავალი აქვს, გაიძახიან: „მოსული იმერლები არ გვინდაო“. აშითი ისინი ხელს უწყობენ, რომ დაინგრას სათემო მართვა-გამგეობა, მღვრიე წყალში თევზები იჭირონ. ყველაზე უფრო აწუხებს მუხრანის რაიონს, ძარცვა გლეჯა და ყაჩაღობა, სოფლის კომისრები ვერ ასრულებენ თავიანთ დაკისრებულ მოვალეობას და ჩირქსა სცხებენ საქართველოს დემოკ.—მართვა გამგეობას. აი მაგალითებ სოფელ წილკნის კომისარი ილია შალიკაშვილი, რომელმაც 21 სექტემბერს ხატობაში ხმლით კაცი დასჭრა, თოფის სროლით მოსული ხალხი დააფრთხო, ზოგს მათრახს სცემდა და ზოგს ემუქრებოდა სიკვდილს თოფის დამიზნებით და შიშველი ხმლის ტრიალით ასეთი უწესოების ჩამდენი კომისარი არ უნდა აჭარბებდეს კომისრის თანამდებობას. მაგრამ იმედი გვაქვს, დუშეთის მაზრის ადმინისტრატიული განყოფილების გამგეობაც, ფარნიევი, შესაფერის მსჯავრს დასდებს მას, როგორც ყოფილ კომისრებს: ბ. სარჯველაძეს ბუკუჩავას, საყვარელიძეს და სხვებს.

მიხელიშვილი.

## პასუხიც ასეთი უნდა.

(პატრიკე თალაკვაძის წერილის გამო).

გაზეთ „ერთობის“ № 217 ში მოთავსებულია პ. თალაკვაძის წერილი ჩემდა საპასუხოთ და საზოგადოების საყურადღებოთ იმის შესახებ, რაც მე მქონდა აღნიშნული „ერთობის“ № 212-ში მოგროვილი ფულების გაფლანგვის შესახებ.

პ. თალაკვაძე სწერს, რომ ქლენტს მარიამობისთვიდან ჰქონდა მიცემული მთის პირის სკოლის საამშენებლო კომისიის მიერ ლარიანი წიგნი და მოწმობა და წინათ ფულის მოგროვების შესახებ არაფერი ვიცით და არც მოწმობა მიგვიციაო.

თქვენ რატომ არაფერს ამბობთ თქვენს პასუხში იმ 6000 მანეთის ხელწერილზე, რომელიც თქვენ და ავთანდილ შარაშიძემ ჩამოართვით ქლენტს? არაფერს ამბობთ, იმიტომ რომ, სწორედ ეს ხელწერილია, რომ სინამდვილეს ააშკარავებს.

ეხლა, როცა ყველამ გაიგო იმ ხელწერილის არსებობა, თქვენ ამბობთ და თავს იმართლებთ ხალხში მით, რომ ხელწერილი ჩამოვართვით წინდაწინ (ავანსათ), რომ მომავალში ფულს თუ შეაგროვებდა არ გაეფლანგაო. არ ვიცი ვის გინდათ თვალი აუხვიოთ კითხვის ასე დაყენებით. თუ კი ასეთი უნდო კაცი იყო, ქლენტი თქვენს თვალში, რომ ფულს გაფლანგავდა, რატომ აღჭურვეთ მოწმობით ასეთი საეჭვო პირი და რა იცოდით, რომ 6,000 მანეთს მოაგროვებდა და არა მეტს? ეს ერთი. მეორე, თქვენ ამბობთ, რომ მოწმობა ჰქონდა მოცემული საამშენებლო კომისიიდანო და ჩვენ არაფერი მიგვიციაო. განა შეიძლება ასეთი სიცრუის თქმა? ალბათ დაგავიწყდათ, რომ საბჭოს კრებაზე თქვენ გამოტყდით, რომ 20 აგვისტოს თარიღით მიეცით ერობის ბეჭედ-დარტყმული მოწმობა, რამაც ყველა გააოცვიფრა, მით უმეტეს გამოირკვა, რომ არც გამგეობის მდივანს, არც თავმჯდომარეს ამ მოწმობის გაცემა არ სცოდნიყო, არამედ თქვენ მიგეცათ, როგორც გამგეობის წევრს მაგრამ დავანებოთ თავი ყველა ამას. მე მგონი თქვენც გეხსომებათ, რომ ერობის გამგეობის თავმჯდომარემ ამ საგანზე მოხსენება გაუკეთა საბჭოს, სადაც გაცილებით მეტი იყო თქმული ვინემ ჩემს წერილში. ყველაფერი საბჭოს ოქმში არის აღბეჭდილი. საბჭომ იმავე სხდომაზე დაადგინა ქლენტის დაუყონებლივი დატუსაღება. გამგეობაში თქვენ თითონ განაცხადეთ, რომ პირადათ თქვენ დაივალებდით თფილისში წასვლას და აგენტის დატუსაღებას, სადაც ის თქვენ მიერ მიცემული მოწმობებით მეორეხელ აგროვებდა ფულებს ეს თქვენი განცხადებაც გამგეობის ოქმში არის აღბეჭდილი, მაგრამ ეს კიდევ არაფერია. თქვენ წაბრძანდით თფილისში და ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდით და ქლენტი კი დატუსაღების მაგიერ ჩამობძანდა სახლში და არხეინათ დასეირნობს იქით აქეთ და ქეიფობს. თუ თქვენ არაფერი კავშირი გაქვთ ქლენტთან, რადა თქვენ სთხოვეთ გამგეობას, თქვენთვის დაევალებინა თფილისში წასვლა და მისი დატუსაღება, ნუ თუ ეს არ შეიძლებოდა თფილისში მილიციის უფროსისათვის დეპეშის მიცემით? უბრალო რიგიანობა მოითხოვდა, რომ რაკი თქვენ ერთნაირად დაკავშირებული დარჩით ქლენტის საქმესთან, მისი ბოროტ-მოქმედების შესახებ კითხვა დაისვა საბჭოში, ამის შემდეგ თქვენ განზე უნდა დამდგარიყავით და არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიგეღოთ ამ საქმის ძიებაში და გამოკვლევაში, მით უმეტეს დატუსაღებაში. რაკი დაადგინა საბჭომ დატუსაღება, ამას უთქვენოთაც მოიყვანდა სისრულეში. და თუ მაინც და მაინც დაივალეთ, რატომ ის მაინც არ შეასრულეთ რაც დაივალეთ და რაც საბჭომ დაადგინა?

თქვენ ბრძანებთ, რომ არაფერი იცოდით წინანდელი მოგროვებული ფულის შესახებ, როცა 20 აგვისტოს მოწმობები მიეცით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სიცრუესაც ძალიან მოკლე ფეხები აქვს, ამ საგანზე საზოგადოებაში დიდი ხანია მთელი მითქმა-მოთქმა არსებობდა, ყველა ამაზე ლაპარაკობდა და თქვენ, როგორც სკოლის მასწავლებლები და საამშენებლო კომისიის წევრები თუ მზრუნველები, სხვაზე უფრო ადრე გაიგებდით, მაგრამ თავი დავანებოთ შესაძლებლობას და ფაქტებზე ვილაპარაკოთ. როდესაც ერობის გამგეობის თავმჯდომარემ პირველად შეკითხვა შეიტანა საბჭოში და თავმჯდომარემ ეს კითხვა მოხსნა დღის წესრიგიდან და განაცხადა, რომ ვარკვევთ ამ საქმესო, ეს გეხსომებათ, მე მგონი რომ 20 აგვისტოზე ბევრათ უფრო ადრე იყო და მაშასადამე 20 აგვისტოს, როცა მოწმობა მიეცით, ეს თქვენ გეცოდინებოდათ.

მეორეც ისა რომ თუ არაფერი იცოდით, რისთვის ჩამოართვით ხელწერილი? თუ თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ახალი მოწმობის მიცემის შემდეგ, მომავალში რასაც მოაგროვებდა იმაში გამოვართვით 6000 მანეთის ხელწერილი, ზემოთაც აღვნიშნე და ეხლაც ვიმეორებ, რომ თქვენ ამით მხოლოდ თავს გაიროზგავთ და მეტი არაფერი. დღეს თუმცა საბჭოს მიერ არჩეული კომისია ძიობს ამ საქმეს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ რაიმე გამოირკვეს, ვინაიდან კომისიას უხდება ძიება და ქლენტის ჩვენების ჩამორთმევა მას შემდეგ, როცა თქვენ წაბრძანდით თფილისში, ინახულეთ იგი, საქმის გამომჟღავნების შემდეგ დიდი ხანი გავიდა და რას იზამთ, ყველა ცოდვილი ადამიანები ვართ და თუ თქვენც რაიმე ცოდვები მიგიძღოდათ ამის გამოსწორების საშუალება გქონდათ ამ ხნის განმავლობაში და ასეთ პირობებში

დღეს ჩვენი ცხოვრება სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩამოყალიბებულათ მიმდინარეობს. რესპუბლიკას აქვს, მადლობა ღმერთს, მოწყობილი სამისო აპარატები, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ასეთი საქმეების გამოკვლევა და დამნაშავეთა დატუსაღება.

ქლენტი რომ მაშინვე დატუსაღებული ყო, როგორც კი საბჭომ ეს დაადგინა და თავის დროზე გამომძიებელს გადასცემოდა; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სულ სხვა შედეგებს მივიღებდით. დღეს შეიძლება დაგვიანებულიც იყოს. თქვენ გვანუგეშებთ თქვენს წერილში იმით, რომ ქლენტს ჩამოერთმევა ანგარიში და გაზეთში გამოქვეყნდებაო.

არ ვიცი რა გინდათ ამით სთქვათ. ჩვენც ვიცით რომ რაც ლარიანი შემოწმებული წიგნით მოაგროვა მან, ამის ანგარიში ადვილი ჩამოსართმევია, ჩვენ წინა წერილში მოვითხოვდით დაუყონებლივ იმის გამორკვევას, თუ ვისი მოწმობით აგროვებდა ის წინათ ფულებს, რა კავშირი გაქვთ თქვენ იმ წინანდელ ფულებთან, რათ მიეცა მას მოწმობები ერობისა და საამშენებლო კომისიის ბეჭდით, როცა იცოდით წინანდელი ფულების გაფლანგვა, და რომ იცოდით, ეს იმით მაინც ცხადია, რომ ხელწერილი ჩამოართვით მოწმობების მიცემის წინ, ეხლა კი ამას მიუმატა შემდეგი: რატომ სწორედ თქვენ დაივალეთ მისი დატუსაღება და თუ დაივალეთ, რატომ არ შეასრულეთ საბჭოს დადგენილება მაინც? ეს კითხვები ჩვენ არ გვაინტერესებს ისე, როგორც პატრიკე თალაკვაძის, გინდ ავთ. შარაშიძის საკითხი. თქვენ ხართ მასწავლებლები, თქვენ კიდევ იყავით ერობის გამგეობის წევრი, ა. შარაშიძეს აბარია კოოპერატივის გამგებლობა და საერთოდ მონაწილეობთ სხვა და სხვა საზოგადო საქმეებში და როდესაც ქლენტის მიერ ნამუშევარ ძნელ საქმეებთან დაგაკავშირებთ თქვენ ფაქტები, ეს სახელს უტეხს იმ დაწესებულებებს, სადაც თქვენ მუშაობთ და ხალხს გულს უცრუებს მომავლის კეთილდღეობაზე.

ჩიხურდანიძე.

# ჩვენი ფოსტა

აპოლონ წულაძეს. საჩქაროდ შემოიარეთ რედაქციაში.


# განცხადებანი

ვისაც უნდა სახლების და სავაჭროების
## ყიდვა-გაყიდვა
ამასთანავე სხვადასხვა გაზეთებში განცხადებების დაბეჭდვა მიმართეთ მაქსიმე ლაღუნის წიგნის მაღაზია „განათლება“ ში ოლღას ქ. № 6. ტელეფონი 3—44 9 დან 10 საათამდე 5 დან 6 მდე. (2619—1—1)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33

ექიმი ნ. [illegible]
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი ე. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია** იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროხეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ბესარიონ კაკოვი
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ 13—27.

დოქტორი [illegible]
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, [illegible] დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5—7 საათ. [illegible] გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი ა. ი. ჟუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

დოქტორი რომელიუს ვაკძერი.
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაბერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე.
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვის პრ.) № 111 ტელ. 13—42.

კბილის ექიმი
ე. მ. ვიგაური-ეხაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ლ. ა. ხარალიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი მ. გოლდშტეინი.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილით 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. ჯ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—7 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

ექიმი [illegible]
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—7 საათ. მისამართი. [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

# ქართული ლატარია
ადამიანისთვის გონებრივი და სულიერი საზრდო ისეა საჭირო, როგორც პური
—
გონებრივ და სულიერ საზრდოს კი მოგვცემს ქართული უნივერსიტეტი და თეატრი
—
მიიღეთ მონაწილეობა ამ დიდ საქმის აღშენებლობაში. იყიდეთ ლატარიის ბილეთები. (ნ.—1—1)

# სახელმწიფო თეატრი
(ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით)
სამშაბათს 7 ოქტომბერს შპილგინის, ხორინას, როგაჩევსკის დროზდო პოლიაკოვის, ისეცკის მონაწილეობით
## დემონი
ოთხშაბათს 8 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერი“. (ნ.—1—1)

# წიგნების გამომცემლობა
## ალ. არაბიძის და ამხანაგობისა თფილისში.
უმთავრესი საწყობი: რუსთაველის ქუჩა № 11. სახლი ქაშვეთის ეკლესიისა,
ღიაა 9—2 ნახ. საათამდის. (ნ.—1—1)

# განცხადება
თფილისის მაზრის ერობა იწვევს სკოლის გარეშე განათლების ინსტრუქტორს ჯამაგირი თვეში ექნება 2400 მან. დღიური 80 მან. და გზის ხარჯი.
ერობის გამგეობა. (2615—1—1)

# საჭიროა მასწავლებლები
მათემატიკისა, სიტყვიერების და უცხო ენების, მარტვილის ვაჟთა გიმნაზიაში მასწავლებელთ მიეცემათ გაორკეცებული ჯამაგირი. მსურველებმა მიმართონ საშუალო სკოლების მთავარ გამგეს. განათლების სამინისტროში. 2610—3—2)

# სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა საყურადღებოდ
დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ოქმების რედაქცია მოაგონებს ყველა სახელმწიფო, საერობო და ქალაქთა დაწესებულებებს დაუჩქარონ ხელის მოწერა დამფუძნებელი კრების
## სტენოგრაფიულ ოქმებზე
მისამართი: თფილისი, სასახლე, ოთახი 29, ტელ. 6—18, სტენოგრაფიულ ოქმების რედაქციას. (ნ. 10—2)